გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№19 (1609) 18 — 24 მაისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ექსკლუზივი: ქურდული სამყარო „საუკუნის სხადნიაკისთვის“ ემზადება

რომელმა „კანონიერმა ქურდმა“ დაარტყა ტარიელ ონიანს და რას ედავებიან ლავას ოღლის

როგორ გახდა აფხაზეთიდან დევნილი ნიკა გვარამია გავლენიანი ფიგურა

ყველაფერი ის, რაც „მთავარის“ დაჭერილ დირექტორზე დღემდე არ ვიცოდით

ბორჯომში ბუნტი იწყება – „IDS ბორჯომი საქართველოს“ დასაქმებულები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ

„ბორჯომის“ გადარჩენის გეგმა – ექსკლუზიური ინტერვიუ მამუკა ხაზარაძესთან

„თუ უკრაინაში რუსეთმა გაიმარჯვა, საქართველოს მიმართ განსაკუთრებული საფრთხე გაჩნდება!“

როდის გამოჩნდება საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალა – გია ხუხაშვილის პროგნოზი

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

სამართალდამცველებმა თბილისის აეროპორტში 12 კილოგრამამდე მარიხუანა ამოიღეს – დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე მ.მ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედება.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის ბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში წინასწარ მოწყობილი სამალავიდან 11 კილო და 700 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მ.მ.-მ აღნიშნული ნარკოტიკი საქართველოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან შემოიტანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 273-ე პრიმა მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვასა და გადაზიდვას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ათი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, დაკავებულია ათი პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა– შენახვისა და ტარების ბრალდებით, ორი პირი – 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ჯ. და 1994 წელს დაბადებული ი.ა. თბილისში, სხვადასხვა დროს დააკავეს.

სამართალდამცველებმა მ.ჯ.-ის საცხოვრებელი ბინისა და პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და 8 ვაზნა, ხოლო მეორე დაკავებულის – ი.ა.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 6 საბრძოლო ვაზნა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველო თანამშრომლებმა, 1993 წელს დაბადებული ბ.გ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებული, 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, კ.ს.-ის პირადი ჩხრეკისას კი, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 7 საბრძოლო ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის, სენაკის, მარტვილისა და მესტიის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ოთხი პირი – 1968 წელს დაბადებული ო.ჩ., 1977 წელს დაბადებული ბ.ა., 1961 წელს დაბადებული ვ.ფ. და 1973 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.კ. დააკავეს. მათ ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვასა და ტარებაში ედებათ.

სამართალდამცველებმა, ზ.კ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 60 ვაზნა, ო.ჩ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 ვაზნა, ხოლო ბ.ა.-ს სახლის ჩხრეკისას – პისტოლეტი და 6 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. პოლიციის მიერ ვ.ფ.-ის საცხოვრებელი სახლიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 127 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ლ.ფ. და 2000 წელს დაბადებული ლ.გ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და უკანონო ნადირობის ბრალდებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღები.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა -ტარებისა და უკანონო ნადირობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე სსკ-ის 301-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული მ.ბ. და 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ბ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების, ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მ.ბ.-ის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივაციისთვის განკუთვნილი მოწყობილობები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 2000 წელს დაბადებული დ.გ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ვარკეთილის მე-3 მასივში მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული დ.გ.-ის პირადი ჩხრეკისას, 45 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია 6 ძირი კანაფი და ნარკოტიკული საშუალების შემცველი აღნიშნული მცენარის გასაზრდელად განკუთვნილი ე.წ. კაბინა.

დანაშაულები 4-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 265-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შს მინისტრი შვეიცარიის ფედერალურ მრჩეველს, იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ შვეიცარიის ფედერალურ მრჩეველთან, იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, კარინ კელერ-ზუტერთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა შვეიცარიის კონფედერაციის სამართალდამცავ უწყებებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ თანამშრომლობაზე, ასევე, სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა და შვეიცარიის ფედერალურმა მრჩეველმა ასევე განიხილეს რეგიონში მიმდინარე მოვლენები და აღნიშნულის გათვალისწინებით არსებული გამოწვევები.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა კარინ კელერ-ზუტერის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას და შვეიცარიელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის.

როგორ გახდა აფხაზეთიდან დევნილი ნიკა გვარამია გავლენიანი ფიგურა

ვანო პავლიაშვილი

ყველაფერი ის, რაც „მთავარის“ დაჭერილ დირექტორზე დღემდე არ ვიცოდით

მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, იუსტიციისა და განათლების ყოფილი მინისტრი, „რუსთავი 2“-ის ყოფილი და „მთავარის“ მოქმედი გენდირექტორი დაკავებულია. ის, რომ ნიკა გვარამიას დაიჭერდნენ, მოულოდნელი, ალბათ, არავისთვის ყოფილა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი დაპატიმრების დრომ ანუ კონტექსტმა გააკვირვა – გვარამიას სასამართლო დარბაზში ხელბორკილები მაშინ დაადეს, როცა ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კითხვარს ავსებს. დამნაშავეა თუ არა ნიკა გვარამია, ან რამდენად სწორ დროს და რამდენად სამართლიანად მოხდა მისი ციხეში გაშვება? – ამ თემებზე კამათს არ ვაპირებთ და ამჯერად „ვერსია“ გვარამიას დოსიეს შემოგთავაზებთ. მაშ, ასე, დავიწყოთ:

გვარამია არც მარტინ ლუთერ კინგია, არც – მაჰათმა განდი და არც – კაკო ყაჩაღი, მაგრამ მისი სახელი ბავშვმაც კი იცის. ცოტა ეპატაჟურია, ცოტა – ცინიკოსიც... ზოგჯერ შოუმენობაც ეხერხება, ზოგჯერ კი პილატე პონტოელივით მკაცრია... ერთი სიტყვით, მასში დემონებიც სახლობენ და ანგელოზებიც... მისი მთავარი ხიბლი, გნებავთ, შარმიც სწორედ ესაა და... ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია: თანამედროვე ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი აქტორია. მეტიც, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგსაც ადგენს, რაც გასაკვირიც არაა, რადგან 2012 წლის 14 ნოემბრიდან მოყოლებული, მძლავრი მედიამანქანის სული და გული ანუ მარტივად რომ ვთქვათ, „მოტორია“. სხვათა შორის, თანამშრომლები პირად საუბრებში ამბობენ, რომ გულისხმიერი და დემოკრატი ხელმძღვანელია.

მოკლედ, ამ პიროვნებაზე, თითქოს, ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ვერსიამ“ ნიკა გვარამიას ალგორითმის ამოხსნა დაიწყო, აღმოაჩინა, რომ ამ „ცოდნის“ ფუნდამენტი მითები და ლეგენდებია. ასე, მაგალითად, იმ ადამიანების უმეტესობა, ვისაც გვარამია გულზე არ ეხატება, ასპროცენტიანი სიზუსტით ამტკიცებს, რომ ყბადაღებული ფილმი – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, სწორედ მისი გადაღებულია. არადა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

ახლა, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ ნიკა გვარამიას ადვოკატობას ცდილობს, როგორ გეკადრებათ. ჩვენ, უბრალოდ, იმ ფაქტებით ვმსჯელობთ, რომელთა ნახვაც ინტერნეტში ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია. ჰოდა, თუკი იგივე Googl-ის საძიებო სისტემაში ჩაწერთ სიტყვათა კომბინაციას – „ნიკა გვარამია+ნოემბრიდან+ნოემბრამდე“, აუცილებლად „ამოვარდება“ გვარამიას ინტერვიუ, რომელიც 2016 წლის თებერვლით თარიღდება და რომელშიც ზემოხსენებულ ფილმთან დაკავშირებით, გვარამია საინტერესო განცხადებას აკეთებს:

„ვფიქრობ, „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ გადაჭარბებაა და მე არ მაქვს მასთან კავშირი, თუმცა ცხადია, იმ გამოძიებასთან მაქვს. პრიველი, რაც უნდა ვთქვა, რომ ბადრი პატარკაციშვილის საქმე ნამდვილად არ იყო თითიდან გამოწოვილი. მეორე, მედიასთან დამოკიდებულების ის ფორმა და ფართო პოლიტიკურ სპექტრთან დამოკიდებულების ის ფორმა, რაც მაშინ იყო, არა ჩემი გადაწყვეტილებით, მაგრამ ჩემი ჩართულობით, სწორი არ იყო. სამართლებრივად ყველაფერი რომ გამართული ყოფილიყო, პოლიტიკურად მიზანშეწონილი არ იყო. ვფიქრობ, პოლიტიკურად ეს ყველაზე დიდი შეცდომაა, რომელიც დამიშვია და რომლის გამოსწორებასაც ახლა ვცდილობ იმით, რომ მედიას ვუჭერ მხარს, მისი დამოუკიდებლობის ყველა გამოვლინებით“...

მოკლედ, ნიკა გვარამია ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სკანდალური ფილმის – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ავტორი არაა, თუმცა როგორც მაშინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე, ამ ფილმის მომზადებაში მონაწილეობდა ანუ საგამოძიებო უწყების სახელით, საზოგადოებას სწორედ ის ელაპარაკებოდა და არწმუნებდა, რომ ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი და მაშინდელი სხვა ოპოზიციონერები (აქედან ნაწილი 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა), სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება-ამბოხს აწყობდნენ. ყველაფერ ამის გამო გვარამიამ, ზემოხსენებული ინტერვიუს გარდა, ბოდიში სხვა დროსაც მოიხადა.

შტრიხები ოფიციალური ბიოგრაფიისთვის

მართალია, წელან ვთქვით, ხანდახან კარგი შოუმენიაო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნიკა გვარამია სხვა „სელებრითებივით“ პირად თემებზე ღიად ლაპარაკობს. ეს კი არადა, ინტერვიუებსაც იშვიათად იძლევა, რაც გასაკვირიც არაა – მედიის ძალა კარგად იცის და, ალბათ, არ უნდა, რომელიმე, გიორგი გაბუნიას მსგავსმა ჟურნალისტმა ისეთი რამ „წამოაცდევინოს“, რასაც შემდეგ, ოპონენტები მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ. ინტერვიუს ვინ ჩივის და, ინტერნეტში გვარამიაზე ოფიციალური ინფორმაციაც მწირია.

ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, ნიკოლოზ (ნიკა) გვარამია 1976 წლის 29 ივნისს, სოხუმში დაიბადა, ესე იგი, დევნილია. სხვათა შორის, ერთხელ, ამ თემაზე „ნანუკას შოუში“ არცთუ ვრცლად ილაპარაკა... ერთხელ კი, სოციალურ ქსელში დაწერა:

„სოხუმელი ვარ (და ვიღაცის გაგებით, სოფლელი) და რასაც მივაღწიე, ყველაფერს ჩემით მივაღწიე. არასდროს, არავინ, არაფერში არ დამხმარებია. იოტისოდენითაც კი...

სტუდენტობაში, გაჭირვებული და ღატაკი ლტოლვილი რომ ვიყავი, ოფიციანტად მუშაობა ჩემი ოცნება იყო, აუხდენელი. თავი რომ გამომეკვება და დედისთვის მომევლო (მამაჩემი ზვიადისტობის მოტივით გადახვეწეს ამ ქვეყნიდან), სწავლის პარალელურად, ყველაფრის კეთება მიწევდა – აბიტურიენტების მომზადებიდან დაწყებული (სუფთა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო), მშენებლობებზე აგურების თრევითა და ვაგზალზე სხვისი ბარგის გადატანით დასრულებული. უწესიერესი მშობლები მყავდა, რომლებმაც, რაც მთელი ცხოვრება აგროვეს აფხაზეთში, ერთიანად დაკარგეს ყველაფერი და რა ვქნათ, შარლატანი მშობლების ფულებით თუ ვერ წავედი უცხოეთში, იქ რომ მესწავლა, ძლივს დამემთავრებინა, მერე რუსეთში გაუგებარი მანქანებით ფული მეშოვნა და ისევ ჩემი გზაზე დამყენებელი ამერიკა მეგინებინა.

მოკლედ, თქვენ თავზეც გავიარეთ ჩვენ, სოფლელებმა და ოფიციანტებმა, თქვე დროს აცდენილო, შეუმდგარო, უმომავლო ქაჯებო“.

ნიკა გვარამიას, ქართული „ვიკიპედიის“ მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული (1998 წელი). 2000 წელს, X-ფაილის დღევანდელი გმირი მუშაობას საადვოკატო კომპანია შპს „სანდოში“ იწყებს, სადაც 2003 წლამდე საქმიანობს. ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა მომავალი რევოლუციონერები ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, მოქკავშირის რეფორმატორული ფრთა აქტიურდება. უცნობია, გვარამიამ, იგივე, მიხეილ სააკაშვილი სად და რა ვითარებაში გაიცნო, მაგრამ ცნობილია, რომ მას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, კარგი ურთიერთობა ჰქონდა კახა კუკავასთან. მოგეხსენებათ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, კუკავა ზვიად ძიძიგურის პარტიაში იყო. ისიც ცნობილია, რომ ზვიად ძიძიგური, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერი, შევარდნაძის ხელისუფლებამ მძიმე ბრალდებით დაიჭირა და სიკვდილის დასჯა რომ არ გაუქმებულიყო, უმაღლეს სასჯელსაც ვერ გადაურჩებოდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

როგორ გახდა აფხაზეთიდან დევნილი ნიკა გვარამია გავლენიანი ფიგურა

მე-3 გვერდიდან

ასევე, ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი და მეგობარი იყო ნიკა გვარამიას მამა, ანზორ გვარამია.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძეს გაემიჯნა, მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი დასაყრდენი, სწორედ ზვიადისტური მოძრაობის გარკვეული ფრთა გახდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნიკა გვარამია სააკაშვილთან ძიძიგურის ხელშეწყობით მოხვდა... ამასთან, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ გვარამიასა და სააკაშვილის დაახლოებას ხელი ირაკლი ოქრუაშვილმა შეუწყო. ამის თქმის საფუძველს კი შემდეგი გარემოება იძლევა: „ვარდების რევოლუციამდე“ ოქრუაშვილს, როგორც ადვოკატს, „თელსთან“ ჰქონდა ურთიერთობა. 2003 წელს, გვარამიაც „თელასში“ მუშაობდა. იმდროინდელი მითოსით, „თელასი“ „ვარდოსნების“ ერთგვარი ბასტიონი იყო. ჰოდა, გონივრული ეჭვის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ 2004 წელს, ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში „რუსთავი 2“-ის დღევანდელი გენერალური დირექტორი სწორედ ასე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, რევოლუციურ ლექს პარლამენტში ბევრი „შემთხვევითი ადამიანი“ შეჰყვა, თუმცა ნიკა გვარამია იმთავითვე გამორჩეული პერსონა გახდა. ყოველ შემთხვევაში, მან ნაცმოძრაობის მმართველ ელიტაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება მოახერხა, რაც გასაკვირი არცაა, რადგან ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია: ეს ადამიანი ნიჭიერიც არის, განათლებულიც და ორატორობის ხელოვნებასაც ფლობს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ნიკა გვარამია კლუბის – „რა? სად? როდის?“ წევრი იყო და ამ ინტელექტუალურ თამაშს კარგა ხანს თამაშობდა.

2007 წელს, გვარამია საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, სადაც ლამის ერთი წელი დაჰყო. 2008 წლის 24 იანვარს კი, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე წარადგინეს. შვიდი დღის შემდეგ ანუ 31 იანვარს, ეს თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა. ცხრა თვის შემდეგ, მთავრობაში მორიგი კარუსელი დატრიალდა და 2008 წლის 27 ოქტომბერს, ნიკა გვარამია განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მოგვევლინა. მის ამ გარდასახვას დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა – ოპოზიციამ გააპროტესტა, როგორ შეიძლება, განათლებას სათავეში ის ადამიანი ჩაუდგეს, რომელსაც ძალოვან უწყებაში აქვს ნამუშევარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერების მართვას ძალოვანი მეთოდებით აპირებენო.

განათლების მინისტრად ნიკა გვარამიამ ზუსტად ერთი წელი იმუშავა და 2009 წლის 27 ოქტომბერს, თანამდებობა, როგორც მაშინ ითქვა, საკუთარი ნებით დატოვა. მოგეხსენებათ, ქართულ პოლიტიკაში გონივრული ეჭვი ერთობ ფესვგამდგარია. ჰოდა, გვარამიას ამ გადაწყვეტილებას ზოგმა საფუძვლად ის დაუდო, რომ მას ნაცელიტასთან, კერძოდ, სააკაშვილთან თითქოს ურთიერთობა დაეძაბა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მუშაობდა, რომ პოლიტიკაში, ჯერ კიდევ სტალინიდან მოყოლებული, აპრობირებული მეთოდია: არასასურველ ადამიანებს სასწავლებლად უშვებენ ხოლმე. ჰოდა, განათლების ექსმინიტრი გვარამიაც განათლების მისაღებად ოკეანის გაღმა გაემგზავრა.

როგორც ცხოვრობდა ან რა განათლება მიიღო აშშ-ში, ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ არსებობს. მეტიც, ლამის ხუთი წლის განმავლობაში, გვარამია მხოლოდ მაშინდელმა ოპოზიციამ კი არა, მმართველმა ელიტამაც დაივიწყა. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, ყოფილი ჩინოვნიკი არენაზე ისევ გამოჩნდა, ოღონდ სხვა ამპლუაში – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად მოგვევლინა და ამ პოსტზე გოგი გეგეშიძე ჩაანაცვლა.

სკანდალები

ნიკა გვარამიას, ყოველივე ზემოთქმულიდანაც ჩანს, რომ სკანდალები არც ხელისუფლებაში ყოფნის დროს აკლდა. ოპონენტები დღესაც ყველაზე ხშირად ჩინოვნიკობას, კერძოდ, გენერალური პროკურორის მოადგილეობას უხსენებენ ხოლმე, მაგრამ მის თავზე შავი ღრუბლები ყველაზე მძლავრად 2012 წლის 19 დეკემბერს შეიკრა – ამ დღეს, ნიკა გვარამია პირველად დაიჭირეს. ფინანსთა სამინისტრო ბრალს კორუფციაში სდებდა... მაშინ გვარამიამ გისოსებს მიღმა დიდი დრო არ გაატარა და საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გვარამია და მასთან ერთად სხვა დაკავებულებიც, სასამართლომ გაამართლა.

„ყველა გავმართლდით ყველა ბრალდებაში“, – დაწერა ნიკა გვარამიამ 2013 წლის 14 ნოემბერს, სოციალურ ქსელში, თუმცა მისი და სამართალდამცავების ურთერთობა ამით არ დამთავრებულა ანუ გამართლების შემდეგ, გვარამიას საგამოძიებო უწყებაში მისვლა არაერთხელ მოუწია, ხან – მოწმის და ხანაც დაზარალებულის სტატუსით.

გვარამიას მოწმედ, როგორც წესი, იმ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით იბარებდნენ ხოლმე, რომელი ჩანაწერებითაც „უკრაინული ვიკილიქსი“ ქართულ საზოგადოებას ხშირად ანებივრებდა. ასე რომ, მხოლოდ გვარამიასა და სააკაშვილის კი არა, გვარამიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის, ასევე, გვარამიასა და პაატა ბურჭულაძის ფარული ჩანაწერებიც გვაქვს მოსმენილი. ისე, ახვლედიანის ეპიზოდი ფრიად საინტერესოა ანუ გვარამიას თქმით, ეს ჩანაწერი თავად მან გააკეთა და მისსავე კომპიუტერში ინახებოდა, მაგრამ რაღაც მანქანების საშულებით, ინტერნეტში აღმოჩნდა.

საერთოდ, ფარული ჩანაწერები გვარამისთვის ერთგვარი ბედისწერაა. ასე, მაგალითად, 2015 წლის ნოემბერში, „რუსთავი 2“-ის მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გამოქვეყნებით დაემუქრნენ. მანამდე კი, ანუ 2014 წლის მაისის დასაწყიში, ნიკა გვარამიასა და „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის მაშინდელი უფროსის, ნინო შუბლაძის სამუშაო კაბინეტებში ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერები აღმოაჩინეს. ამის შესახებ საზოგადოებას თავად გვარამიამ ამცნო.

„ნინოს შემთხვევაში ადგილი აქვს, როგორც საქმიან, ისე პირადი ხასიათის ჩანაწერებს და მასალა, დაახლოებით, ერთსაათიანია; ჩემს შემთხვევაში კი ფარული ჩანაწერი 15-წუთიან მასალას მოიცავს“, – აღნიშნა მაშინ გვარამიამ და დასძინა, რომ ფარული ჩანაწერები შსს-დან ინკოგნიტო წყარომ მიაწოდა და ოფისის შემოწმებაც სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს.

რაც შეეხება ნიკა გვარამიას, როგორც დაზარალებულის საგამოძიებო უწყებაში მისვლას, ეს ამბავი 2017 წლის 7 იანვარს მოხდა: იმ დღეს, ნიკამ მამა დაასაფლავა და სტრესისგან განმუხტვის მიზნით, მეგობრებთან ერთად, თბილისის ერთ-ერთ რესტორანს მიაშურა, სადაც თავს უცნობი დაესხა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს უცნობი – არც მეტი, არც ნაკლები – ლევან გაჩეჩილაძის ვაჟი იყო...

იმის შესახებ, თუ რატომ დაესხა თავს რატი გაჩეჩილაძე ნიკა გვარამიას, ბევრი ითქვა და დაიწერა, ამიტომ „ვერსია“ ამ თემის დეტალურ ანალიზს აღარ შეუდგება, თუმცა რაკიღა სიტყვა ნიკა გვარამიას მამაზე, აწ განსვემებულ ანზორ გვარამიაზე ჩამოვარდა, პატარა ამონარიდს შემოგთავაზებთ წერილიდან, რომელიც „ოდიშინიუსმა“ სწორედ ზემოხსენებული თავდასხმის შემდეგ გამოაქვყენა:

... „ადამიანი, რომელიც იმ დღეს გააცილა ამ ქვეყნიდან ნიკა გვარამიამ, იყო მრავალი ღირსებით შემკული კაცი, რომლის მხრებზე გადაიარა ჯერ 70-80-იანი წლების ქართული დისიდენტური მოძრაობის, ხოლო შემდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის აღმასვლისა და ეროვნული ხელისუფლების დამამხობელთა მიმართ დაუმორჩილებლობის მოძრაობის პერიპეტიებმა ჯერ სოხუმში, ხოლო შემდეგ – ზუგდიდში.

ანზორ გვარამიამ, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლმა და პირადმა მეგობარმა, რომელიც თავისი ნატურიდან გამომდინარე, უანგაროდ იყო ჩართული ამ ბრძოლებში (მან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სილაღითა და შინაგანი თავისუფლებით განაცხადა უარი ზვიად გამსახურდიას წინადადებაზე, საქართველოს პარლამენტში ეყარა კენჭი იმ მოტივით, რომ სხვებისთვის დაეთმო გარანტირებული ადგილი საკანონმდებლო ორგანოშიც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც), ჩუმად შეუდგა მხარი ე.წ. ბექმენეჯერის ტვირთს სახიფათო და უთანასწორო ბრძოლაში პუტჩის მომწყობ ხილულ და უხილავ ძალებთან. მას გვერდზე ჰქონდა გადადებული ის, რაც თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ მიაჩნდა (28 წლის ასაკში ჰქონდა გამოცემული მოთხრობების პირველი კრებული „პირველი თოვლი“, რაც საბჭოთა ნომენკლატურული მწერლობის ბატონობის პირობებში, ამ ასაკში, მხოლოდ გამორჩეული ნიჭის ახალგაზრდებს შეიძლებოდა ხვდომოდათ წილად, იშვიათი გამონაკლისის სახით). იგი იყო აფხაზეთში ფართოდ ცნობილი ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ამასთან, ერთ-ერთი გამომცემელი პუტჩისტების ძალმოსილების პირობებში, 92-93 წლებში, ნახევრად არალეგალურ პირობებში გამომავალი წინააღმდეგობის მოძრაობის გაზეთისა „აღდგომა“, რომელიც ჯერ სოხუმში, ხოლო აფხაზეთზე პრეზიდენტისადმი მიცემული ერთგულების ფიცის გამტეხი ეროვნული გვარდიის პირველი გამოლაშქრებისა და რედაქციის დარბევის შემდეგ, ზუგდიდში გამოდიოდა და ქართველ ხალხს შეუნარჩუნა გროზნოში მყოფი დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვების ხელმისაწვდომობა“.

ერთი სიტყვით, ასეთია ნიკა გვარამიას ოფიციალური თუ არაოფიციალური დოსიე, დოსიე, რომელსაც 16 მაისიდან, დაპატიმრების ეპიზოდიც „შეემატება“. 3 წელი და 6 თვე – მოსამართლის გადაწყვეტილებით, სწორედ ამდენი ხანი უნდა გაატაროს საპყრობილეში გვარამიამ, თუმცა არავინ იცის, რა მოხდება. ისე, 21-ე საუკუნეა და კომპანიის მანქანით „კატაობის“ გამო პატიმრობა, მაინცდამაინც, რელევანტური არ უნდა იყოს...

„თუ უკრაინაში რუსეთმა გაიმარჯვა, საქართველოს მიმართ განსაკუთრებული საფრთხე გაჩნდება!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

მესამე თვეა, უკრაინაში ომი მძვინვარებს. უკრაინის მოსახლეობა დღემდე ღირსეულ წინააღმდეგობას უწევს რუსულ სამხედრო აგრესიას. რუსეთს, უკრაინის მიმართ წამოწყებული ომის გამო, დასავლეთმა უპრეცედენტო სანქციები დაუწესა, ამასთან, უკრაინისთვის აღმოჩენილი ფინანსური და სამხედრო დახმარებაც დასავლეთის მხრიდან უპრეცედენტოა. სწორედ ამიტომ, ყველა კვალიფიციური ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთი უკრაინასთან ომში დამარცხდება, ყოველ შემთხვევაში, რუსეთი ამ ფორმით აღარ იარსებებს და პუტინის რეჟიმს მარცხის აღიარება, ადრე თუ გვიან, მოუწევს. ამასთან, არსებობს ვერსია, რომ უკრაინაში დამარცხებულმა პუტინმა, საკუთარი მოსახლეობის თვალში იმიჯის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, დარტყმა საქართველოსა და მოლდოვაზე მიიტანოს. რამდენად რეალურია მოვლენების ამ სცენარით განვითარება? – „ვერსია“ ანალიტიკოს გია ხუხაშვილს ესაუბრა:

როდის გამოჩნდება საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალა – გია ხუხაშვილის პროგნოზი

– ეს საკითხი პირიქითაა – თუ უკრაინაში რუსეთი დამარცხდა, რესურსი, რომ აგრესია სხვა მიმართულებით წამოიწყოს, უბრალოდ, აღარ ექნება. თუ უკრაინაში გაიმარჯვა, იმ შემთხვევაში, გაჩნდება საქართველოს მიმართ განსაკუთრებული საფრთხე, რადგან გამარჯვებულის პოზიციიდან, რუსეთი უკრაინაზე არ გაჩერდება.

ეს არის თეორიები, რომლებითაც ფარული პრორუსები აშინებენ საზოგადოებას. ამაში ლოგიკა არ არის. საქართველოს საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა გაიმარჯვა უკრაინაში.

– რუსეთის გამარჯვებას ყველა კვალიფიციური ექსპერტი გამორიცხავს და გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ საფრთხე, პრაქტიკულად, არ არსებობს?

– დიახ, ღმერთმა ქნას, ასე იყოს. ის თემა – „ომი გინდათ“ და რუსეთის მიმართ პრინციპული პოზიციის გამო, შეიძლება, ჩვენთან ომი დაიწყოს, სამწუხაროდ, უღირსი პოზიციაა, რის დისტრიბუციასაც ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, ჩემი მეგობრებიც, ახდენენ საქართველოში.

– ბატონო გია, ხელისუფლება რუსეთთან მიმართებით ზედმეტად ფრთხილ პოლიტიკას რომ არჩევს, ეს უკვე ადვილად შესამჩნევია და ამას, სხვათა შორის, საქართველოში ბევრი ადამიანი ემხრობა, რაც ალბათ, ომის შიშიდან გამომდინარეობს...

– გასაგებია, რატომაც... ეს ადამიანები მომხრეები კი არ არიან, საქმე ისაა, რომ ჩვენთან საშუალო სტატისტიკური ქართველის მდგომარეობა არის ასეთი – არც კეთილდღეობა აქვს და არც თავისუფლება, ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აქვს, ეს უსაფრთხოება და სტაბილურობაა. ეს ადამიანი ფიქრობს, კარგი, მშია, მწყურია, თავისუფალი არ ვარ, მაგრამ ეს ერთი რამ მაქვს – ბომბები არ ცვივა ჩემს თავზე და ამასაც ნუ წამართმევთო. აი, ამ პოზიციის ექსპლუატირებას ახდენს პროპაგანდა და საკმაოდ ეფექტიანადაც, რადგან როცა არაფერი გაქვს, იმ მცირედის შენარჩუნებაზე იწყებ ზრუნვას. აი, ამ უბედურებაში ვართ, თორემ საფრთხე დღეს, საქართველოში, პრინციპული პოზიციიდან არ არსებობს, პირიქითაა, რაც უფრო ლოიალურები ვიქნებით რუსეთის მიმართ, მით უფრო გავუღვივებთ განცდას, რომ ჩვენი დაპყრობა ადვილად შეიძლება და მეტი ამბიცია ექნება, აგრესიულად წამოვიდეს.

– რამ განაპირობა საზოგადოების ასეთი განწყობა? სახელმწიფოებრივი აზროვნება გაქრა და დარჩა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის ინსტიქტი?

– კი. ეს არ არის უნიკალური მოვლენა, ზოგადად, ასე ხდება, როცა სოციალური გაჭირვება დიდია, ამ ტიპის საზოგადოებების მართვა, ასეთი იაფფასიანი „სტაბილურობის თემით“ უფრო ადვილია, რადგან ადამიანი თავისუფალ აზროვნებას, ღირსეულ ცხოვრებაზე ფიქრს იწყებს მაშინ, როცა მას ცოტა მაინც აქვს კეთილდღეობა. როდესაც ეს კეთილდღეობაც ერთმევა, იმას ეპოტინება, რაც მცირედად მაინც დარჩა. ოხლოკრატია (ბრბოს მმართველობა) იწყება იქ, სადაც ძალიან სერიოზული სოციალური გაჭირვებაა, როცა გონება ითიშება და მხოლოდ ემოციებით ხდება მანიპულირება.

– ამ ლოგიკით, 1989 წლის 9 აპრილსაც არ უნდა გამოსულიყო ხალხი, მაგრამ ვიცით, მაშინ როგორი პროტესტის ტალღაც აგორდა რუსეთის წინააღმდეგ, ბატონო გია.

– კი, მაგრამ მაშინ ხალხს ასე არ უჭირდა...

– ფული გაუფასურებული იყო და ეკონომიკური ვითარებაც არ იყო სახარბიელო...

– მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ უმუშევრები და მშივრებიც არ იყვნენ... ეს კიდევ ცალკე ფენომენია, რაზეც ცალკე უნდა ვიმსჯელოთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მაშინდელი სოციალური სტატუსი, დღევანდელთან შედარებით, განსხვავდებოდა. მაშინ ლუკმა-პურის ძებნა არავის სჭირდებოდა.

– და რა უნდა მოხდეს, რომ თითოეულ ქართველში გაიღვიძოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებამ და სამოქალაქო საზოგადოების განცდამ?

– ეს არის პროცესი და ფორმულა, თუმცა ერთ დღეში რომ გამოვიღვიძოთ, არ არსებობს. ძალიან ბევრია დამოკიდებული პოლიტიკურ ელიტაზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე. ჩვენი უბედურება ხომ ისაა, რომ მარტო ხელისუფლების პრობლემა კი არა, უზარმაზარი პრობლემა გვაქვს ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების...

– რადგანაც ოპოზიცია ახსენეთ, გკითხავთ: ყოველდღიური დღის წესრიგი ისევ მიხეილ სააკაშვილის საქმის გარშემო იქმნება და ზოგი, ალბათ, დაიღალა ამ ერთი და იგივე საკითხის გარშემო ტრიალით... ამასთან, იქმნება განცდა, რომ საქართველოში არ არსებობს ხელისუფლების შეცვლის ალტერნატივა...

– ხელისუფლება დღეს რომ ინარჩუნებს ძალა-უფლებას, ამის ფორმულა ის კი არაა, რომ ხალხს მოსწონს, არამედ, რბილად რომ ვთქვათ, ოპოზიცია მასზე უკეთესად არაფრით გამოიყურება. შესაბამისად, ადამიანები ფიქრობენ, კი, ხელისუფლება არ მოგვწონს, მაგრამ ოპოზიცია რით სჯობსო? – ეს არის ხელისუფლების მთავარი კოზირი.

– ელოდებით, რომ უახლოეს პერიოდში, საქართველოში, ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება?

– პოლიტიკას თავის კანონები აქვს, რაც მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. როცა მოთხოვნა დეფიციტურია, ადრე თუ გვიან, მიწოდება ჩნდება ბაზარზე, ეკონომიკური ტერმინოლოგიით ასე იხსნება, თუმცა როდის მოხდება ეს, ძნელი სათქმელია. ახალი პოლიტიკური ცენტრის გაჩენის ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი ზუსტად ამ ძალების ორპოლუსიანობაა, რომლებიც პოლიტიკურ ბაზარზე არავის აჭაჭანებენ და თუ ვინმემ თავი წამოჰყო, მაშინვე ცდილობენ, გააქრონ, მაგრამ რაღაც მომენტში, ეს რთული სიტუაციაც გაირღვევა, ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

აღმოჩენილია ფინანსური დარღვევები რუსთავის მუნიციპალიტეტში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური რუსთავის მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. ფინანსური აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2019-2020 წლების საქმიანობას ეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა რუსთავის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ფინანსური დარღვევები და ხარვეზები გამოავლინეს, მათ შორის, საბიუჯეტო რესურსების მართვაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, სახელმწიფო შესყიდვებსა და ქონების მართვაში.

სახელმწიფო აუდიტის მორიგი დასკვნა

ხარვეზები საბიუჯეტო რესურსების მართვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებობს, როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები.

„ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, 2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის შემოსულობები – 116 020 ლარი, ხოლო გადასახდელები – 117 817 ლარი იყო. ორივე საანგარიშო წელს, რუსთავის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაწილი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები, ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, საჯარო სკოლების, პარკებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისთვის გაფორმებული 156 ხელშეკრულებიდან, 60-ში შესულია სხვადასხვა ცვლილება, რაც უკავშირდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირებას. კერძოდ, პროექტებში არ იყო გათვალისწინებული ყველა სამუშაო, ხარჯთაღრიცხვებში არსებობდა შეცდომები, დაუზუსტებელი იყო მოცულობები და სხვა.

„პროექტებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. ხშირ შემთხვევაში, ყველაფერი ეს, იწვევდა სამუშაოების დასრულების ვადების ზრდას. შედეგად, 28 ინფრასტრუქტურული პროექტი, საერთო ღირებულებით – 20 459 ლარი, დასრულდა 10-დან 92 დღემდე ვადაგადაცილებით და შესაბამისი სერვისები მოსახლეობას მიეწოდა დაგვიანებით. მაგალითად, 2019 წელს, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ასფალტ-ბეტონის გზისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 2 676 ლარი".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ხელშეკრულებაში განხორციელდა 6 ცვლილება, მათ შორის, გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება, დაზუსტდა მოცულობები და გეგმა-გრაფიკი. შედეგად, სამუშაოების საბოლოო მიწოდების ვადა 80 დღით გაიზარდა.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რუსთავის მუნიციპალიტეტმა 178 400 ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეისყიდა, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია.

ხარვეზები შესყიდვების პროცესში

როგორც მოსალოდნელი იყო, ხარვეზები დაფიქსირდა სახელმწიფო შესყიდვებშიც. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტმა და მის მიერ დაფუძნებულმა სუბიექტმა სახელმწიფო შესყიდვის პროცესი წარმართეს დადგენილი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ და არაეკონომიურად დახარჯეს საბიუჯეტო რესურსი.

„2019 წელს, რუსთავის მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით, რომლის ღირებულება 75 700 ლარი იყო. ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე, კომისიამ განახორციელა ყველაზე დაბალი ფასის – 57 500 ლარის წარმდგენი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. კერძოდ, კომისიამ მიუთითა, რომ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში, „ზედნადები ხარჯების" პროცენტის ოდენობა არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ნორმას. გადაწყვეტილების მიღებისას, კომისიამ არ გაითვალისწინა, რომ ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმის დაცვა სავალდებულო იყო არა მიმწოდებლისთვის, არამედ, მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, საბოლოოდ ხელშეკრულება გაფორმდა სხვა პრეტენდენტთან, რომელმაც 69 200 ლარი დააფიქსირა, რაც 11 700 ლარით მეტი იყო პირველი პრეტენდენტის ფასზე".

გარდა ამისა, 2019 წელს, რუსთავის მერიის დაფუძნებულმა ააიპ „რუსთავის ისტორიულმა მუზეუმმა" განახორციელა გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟის შესყიდვა. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ვაჭრობის ეტაპზე, გამარჯვებულ პრეტენდენტს შემსყიდველმა დოკუმენტაციის დაზუსტება და რამდენიმე პუნქტის გასწორება მოსთხოვა. ამასთან, კომისიამ სრულად არ განსაზღვრა დასაზუსტებელი პოზიციები და არ დააფიქსირა, რომ პრეტენდენტის წინადადებას არ ახლდა ელექტრონული ხელმოწერა ან/და ელექტრონული ბეჭედი. შედეგად, პრეტენდენტმა დაზუსტებული დოკუმენტაცია წარადგინა ხარვეზით, რის გამოც დაავჯარიმეს. ამის შემდეგ, რუსთავის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან, ხოლო შესასყიდი მომსახურების ღირებულება 5 100 ლარით გაიზარდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვებითი მომსახურების შესყიდვისას, პროცესის არასათანადოდ წარმართვის გამო, რუსთავის მუნიციპალიტეტმა დაკარგა არსებითი მოცულობის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. რუსთავის მერიისა და მის მიერ დაფუძნებული სუბიექტის მიერ, პრეტენდენტების კანონშეუსაბამო დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა 16 800 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

ხარვეზები ქონების მართვასა და შემოსავლებში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შემოსავლების ადმინისტრირების მიზნით, რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები სუსტია. 2021 წლის 1 იანვრისთვის, გადაუხდელი საიჯარო თანხა 144 000 ლარი იყო. მუნიციპალიტეტის ინტერესების დასაცავად, მერია არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს დავალიანების მქონე მოსარგებლეების მიმართ.

რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლეების ნაწილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იხდიდა სარგებლობის საფასურს. 2019 წლის დასაწყისში, 18 მოსარგებლის შემთხვევაში, მათი დავალიანება წლიური სარგებლობის საფასურს თითქმის რვაჯერ აღემატებოდა. მეტიც, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სარგებლობის ფორმით გაცემული ზოგიერთი მუნიციპალური ქონების საფასური ნაკლები იყო საბაზრო ფასზე, რის გამოც ადგილობრივმა ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგა. მიუხედავად ამისა, რუსთავის მერიას არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბორჯომში ბუნტი იწყება – „IDS ბორჯომი საქართველოს“ დასაქმებულები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას „IDS ბორჯომი საქართველოში“ შექმნილ მდგომარეობაზე. თუ 21 დღის ვადაში, „IDS ბორჯომი საქართველოს“ ადმინისტრაცია დასაქმებულების პირობებს არ შეასრულებს, თანამშრომლები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ, – განუცხადა „ვერსიას“ პროფკავშირების წარმომადგენელმა, გიორგი დიასამიძემ. შეგახსენებთ: „ბორჯომის“ ადმინისტრაციის განცხადებას თანამშრომლები არ დაეთანხმნენ და გაიფიცნენ. ამის შემდეგ, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის კოლექტიური დავის მედიატორი დაინიშნა, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელია. მოკლედ, კოლექტიური დავის მედიატორი ბორჯომში ჩავიდა და ქარხნის თანამშრომლებს შეხვდა. მოგვიანებით, კომპანიის ადმინისტრაციასთანაც გამართავს მოლაპარაკებას. დასაქმებულები ადმინისტრაციისგან ითხოვენ გარანტიას, რომ კომპანიის კრიზისის დასრულების შემდეგ, ძველი სამუშაო პირობები და ხელფასები დაიბრუნონ, რასაც ადმინისტრაცია არ თანხმდება. პრობლემა 29 აპრილს დაიწყო, როდესაც მინერალური წყლის – „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ორივე ქარხანა გაურკვეველი ვადით გაჩერდა და დაახლოებით, ათასზე მეტი თანამშრომელი შემოსავლის გარეშე დარჩა. მიზეზი ქარხნის სანქცირებული მფლობელი, პუტინთან დაახლოებული რუსი ოლიგარქი, მიხაილ ფრიდმანი და დაბლოკილი ანგარიშებია. პარალელურად, „ლელოს“ დამფუძნებელი, მამუკა ხაზარაძე, „ვერსიასთან“ საუბრისას, დეტალურად საუბრობს, როგორ და რა საშუალებით შეიძლება „ბორჯომის“ პრობლემის მოგვარება, ქარხნების ამუშავება და ექსპორტის განახლება.

„ბორჯომის“ გადარჩენის გეგმა – ექსკლუზიური ინტერვიუ მამუკა ხაზარაძესთან

ყველაფერი 2022 წლის 29 აპრილს, კომპანია „IDS ბორჯომი – საქართველოს“ განცხადებით დაიწყო, რომლითად გაირკვა, რომ კომპანიამ „დროებით“ შეაჩერა მინერალური წყალი „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ორივე ქარხნის წარმოება. „ვერსია“ უკვე წერდა, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ამის მიზეზი უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები გახდა. კერძოდ:

„პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე (რუსეთსა და უკრაინაში, – რედ.) შექმნილ რთულ ვითარებას დაემატა საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული წვდომა, რამაც კომპანიას ჩაუკეტა სავალუტო შემოსავლების მიღებისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა“.

„IDS ბორჯომი საქართველოს“ მფლობელია რუსული „ალფა ჯგუფი“, რომლის აქციების საკონტროლო, 60%-იან პაკეტს სანქცირებული რუსი ოლიგარქი, მიხაილ ფრიდმანი ფლობს.

ეს, რაც შეეხება „ბორჯომის“ განცხადებას. კომპანიაში ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს, რომლებიც დამსაქმებლების გადაწყვეტილების გამო, ფაქტობრივად, უმუშევრად რჩებიან. „ბორჯომში“ დასაქმებულების უფლებებს საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი და მისი ხელმძღვანელი, გიორგი დიასამიძე იცავს.

„ვერსიასთან“ საუბრისას გიორგი დიასამიძემ აღნიშნა, რომ კომპანიაში დასაქმებულებს შრომითი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული, თუმცა შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა კომპანიამ რამდენიმე პუნქტი შეიმუშავა, რომელიც სურს, რომ შრომის ხელშეკრულებას დაემატოს.

გიორგი დიასამიძის განცხადებით, ეს გახლავთ, კომპანიის რეაბილიტაციის გეგმა, რომლის თანახმად, თუ აქამდე, იძულებითი მოცდენა ანაზღაურდებოდა 100%-იანი განაკვეთით, ახლა განახევრდება და 50% გახდება; თუ აქამდე ზეგანაკვეთური შრომა ანაზღაურდებოდა 140%-ით, ახლა – 125%-ით ანაზღაურდება; თუ აქამდე პრემიებს ურიცხავდნენ დასაქმებულებს, ახლა აღარ ჩაერიცხებათ.

„დასაქმებულებს კარგად ესმით შექმნილი მდგომარეობის სირთულე, ამიტომ თანახმანი არიან ჩამოთვლილ პირობებზე, მაგრამ მხოლოდ სამი თვით. სამი თვის შემდეგ, თუ კომპანიის პრობლემები მოგვარდება, კონტრაქტს ეს ახალი ნაწილი უნდა ჩამოსცილდეს და მუშაობა ძველი პირობებით გაგრძელდეს. გარდა ამისა, დასაქმებულთა პოზიციით, კომპანიაში არ უნდა განხორციელდეს რეორგანიზაცია, რათა დაცული იყოს თითოეული სამუშაო ადგილი და რეორგანიზაცია არ იქნას გამოყენებული დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად“, – განუცხადა „ვერსიას“ გიორგი დიასამიძემ.

დასაქმებულების ეს წინადადება დამსაქმებლებმა არ მიიღეს, რის გამოც თანამშრომლებს გარკვეული ეჭვები გაუჩნდათ:

„დასაქმებულები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, „ბორჯომი“ გაიყიდოს. მათი აზრით, ახლანდელ მფლობელებს სურთ, კომპანია ისე გაიყიდოს, რომ თუ ყოველწლიურად, ხელფასებში ხარჯავდა 22 მილიონ ლარს, გაყიდვის შემდეგ, გაცილებით ნაკლები თანხა დახარჯოს“, – ამბობს დიასამიძე.

ამის შემდეგ, კომპანია „ბორჯომმა“ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ შექმნილ ვითარებაში კომპანია იძულებული გახდა ცვლილება შეეტანა დასაქმებულთა ხელშეკრულებებში:

„მოგეხსენებათ, ჩვენი კომპანია დღეს დგას უდიდესი გამოწვევის წინაშე. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პირველ რიგში, გადავარჩინოთ კომპანია და მაქსიმალურად შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები. შექმნილ ვითარებაში, იძულებული გავხდით, ცვლილება შეგვეტანა დასაქმებულთა ხელშეკრულებებში, რადგან კომპანიას აღარ აქვს ქარხანაში მოცდენილი საათების 100%-ით ანაზღაურების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ შევთავაზეთ თანამშრომლებს განახლებული პირობები (რაც გულისხმობს მოცდენილი საათების 50%-ით ანაზღაურებას – ნამუშევარი საათების ანაზღაურება რჩება უცვლელი), რაც, სამწუხაროდ, თანამშრომელთა მცირე ნაწილისთვის მისაღები არ აღმოჩნდა, რის გამოც იძულებული გავხდით, ქარხანაში დაგვეწყო რეორგანიზაციის პროცესი და კანონმდებლობის საფუძველზე, 49 თანამშრომლისთვის შეგვეწყვიტა ხელშეკრულებები. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ თანამშრომელთა იმ დიდ ნაწილს, რომლებიც გაგებით ეკიდებიან არსებულ ვითარებას და ვიტოვებთ იმედს, რომ შემდგომი შემცირებების განხორციელება აღარ მოგვიწევს“, – აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

6 მაისს, „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ქარხანასთან, გათავისუფლებული და მოქმედი თანამშრომლები შეიკრიბნენ და აქცია გამართეს. „ვერსიასთან“ საუბრისას გიორგი დიასამიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპანიის მენეჯმენტის ბოლო განცხადების გამო, თანამშრომლები უარს აცხადებენ სამთვიან ხელშეკრულებებზე:

„არანაირი სამთვიანი ხელშეკრულებები! მუშაობა უნდა გაგრძელდეს ძველი ხელშეკრულების პირობებით! უკვე გათავისუფლებული 49 თანამშრომელი (მათ შორის, ვადიანი თანამშრომლები) სამსახურში უპირობოდ უნდა აღადგინონ! ცალკეული თანამდებობის პირები დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ, რომლებიც სამსახურიდან გაგდებით ემუქრებიან დასაქმებულებს! ამ ეტაპზე, მათ ვინაობას ვერ დაგისახელებთ, მაგრამ გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ რესურსს და ვემზადებით, უკომპრომისო ბრძოლისთვის, ეს ბრძოლა იქნება ბოროტსა და კეთილს, ხარბ დამსაქმებლებსა და მშრომელებს შორის! მზად ვართ საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფთან კონსულტაციებისთვის, ბორჯომოს ქარხნის დასაქმებულთა ინტერესების გათვალისწინებით!“

დასასრული მე-8 გვერდზე

ბორჯომში ბუნტი იწყება – „IDS ბორჯომი საქართველოს“ დასაქმებულები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ

მე-7 გვერდიდან

გიორგი დიასამიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას დაადასტურა, რომ ამ პირობების შესასრულებლად, საქართველოს შრომის კანონმდებლობის თანახმად, დამსაქმებლებს 21-დღიანი ვადა მისცეს. მისი თქმით, თუ 21 დღის შემდეგ, „ბორჯომის“ მენეჯმენტი უკვე გათავისუფლებულ 49 თანამშრომელს არ აღადგენს, დასაქმებულები მათ კანონიერ უფლებას გამოიყენებენ და პროტესტის ფორმას – პერმანენტულ აქციებს მიმართავენ.

* * *

წარმოების დროებით შეჩერების გამო, „ბორჯომში“ დასაქმებულ ათასამდე ადამიანს, სამწუხაროდ, უმუშევრობა ელის. ამჟამად „ლელოს“ დამფუძნებელი, მამუკა ხაზარაძე, რომელიც წლების წინ, „IDS ბორჯომი საქართველოს“ აქციონერი გახლდათ, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ხედავს – საქართველოს სახელმწიფომ „ალფა ჯგუფისგან“ უნდა გამოისყიდოს კომპანიის აქციები და თბილისის საფონდო ბირჟის საშუალებით, საქართველოს მოქალაქეებზე გაასხვისოს. „ვერსიის“ წინა ნომერში, მარტივი კითხვა დავსვით – როგორ და რის საფუძველზე უნდა გამოისყიდოს სახელმწიფომ კერძო პირისგან აქციები, რადგან სახელმწიფოს მიერ, კერძო პირზე უკვე გასხვისებული აქციების გამოსყიდვა ექსპროპრიაციის რისკს აჩენს. სწორედ ამ კითხვით, „ვერსია“ მამუკა ხაზარაძეს დაუკავშირდა.

– ბატონო მამუკა, როგორ და რა ფორმით უნდა გამოისყიდოს სახელმწიფომ „ბორჯომის“ აქციები?

– ეს არის წინადადება, იდეა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ტექნიკური შესრულება სჭირდება. რა იგულისხმება? – ტრანზაქცია უნდა განხორციელდეს! აქ არანაირ ექსპროპრიაციაზე საუბარი არ არის, ამას ჩემი წარსულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, არ ვიტყოდი და არც თავში მომივიდოდა აზრად. საუბარია იმაზე, რომ ახლა მიდის არსებული, დასანქცირებული პიროვნებისა და კომპანიის ჩანაცვლება ახალ პარტნიორზე და ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ხმებიც კი გავიგეთ. არადა, ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი ორგანიზაცია, რომელიც დასანქცირებულია, ჩანაცვლდეს არა ახალი კომპანიით ან პიროვნებით, არამედ, საქართველოს მოქალაქეებით. ტრანზაქციის ფარგლებში, გარკვეულ ფასზე ხომ უნდა შედგეს მოლაპარაკება? – საუბარია იმაზე, რომ ეს ფასი საქართველოს მოქალაქეებმა გადაიხადონ საფონდო ბირჟის საშუალებით ანუ ყველას ჰქონდეს საშუალება, „ბორჯომის“ აქციები საფონდო ბირჟის საშუალებით შეიძინოს და გახდეს თანამონაწილე.

– საფონდო ბირჟის საშუალებით, მხოლოდ „ბორჯომში“ დასაქმებულები შეძლებენ აქციების გამოსყიდვას?

– არა, ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანი შეძლებს, მაგალითად, თქვენც და ყველა, ვისაც ამის სურვილი ექნება. თავისუფალი ბაზარია და და ყველას ექნება საშუალება, მიიღოს მონაწილეობა.

– დასაქმებულებს საკუთარი მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებთან, მესმის, რომ თქვენ ამ მოლაპარაკებებში ვერ და არ ხართ ჩართული და გარკვეულწილად, უხერხულიცაა თქვენთან ამაზე საუბარი, თუმცა მაინც გკითხავთ, რა გამოსავალს ხედავთ ამ უმძიმესი სიტუაციიდან?

– ნომერ პირველი ამოცანაა ქარხნების ამუშავება და ბაზარზე დაბრუნება. ვიდრე ეს ამოცანა არ შესრულდება, ვერანაირ ხელფასის მომატებაზე ან პირობების გაუმჯობესებაზე საუბარი, რაც მეც მოვისმინე ტელევიზიით, ვერ იქნება! გაჩერებული ქარხანა ვერავის ვერაფერს გაუკეთებს, ხომ მეთანხმებით? ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, ყველა უნდა გაერთიანდეს, რომ ქარხნები ამუშავდეს და „ბორჯომმა“ დაიწყოს ექსპორტი ტრადიციულ ბაზრებზე, იგივე, ბალტიისპირეთის ქვეყნებში – აი, ესაა ნომერი პირველი ამოცანა.

ვიმეორებ, ეს რომ მოხდეს, ყველაზე სწორი გზაა, „ბორჯომი“ გახდეს ღია სააქციო საზოგადოება და აქციების გამოსყიდვა საფონდო ბირჟის საშუალებით განხორციელდეს.

– უკაცრავად, ვინ უნდა განსაზღვროს „ბორჯომის“ აქციების ფასი?

– აქციების თანხის ფასი უნდა განისაზღვროს მესამე, კვალიფიციური პირის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს აუდიტორული კომპანია ან კონსულტანტთა ჯგუფი. რეალურად, ეს უკვე ტექნიკური საკითხია, რაც შესაძლოა, მკითხველს არც კი აინტერესებდეს, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ დადგინდეს სამართლიანი ფასი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც დღესაა „ბორჯომი“.

– ბატონო მამუკა, შესთავაზეთ თუ არა ეს წინადადება მთავრობას და რა პასუხი მიიღეთ მათგან?

– არა, ამ ინიციატივით ღიად გამოვდივარ, ჯერ სოციალურ ქსელში, ჩემს გვერდზე დავწერე და ახლა, თქვენი გაზეთის საშუალებითაც ვიმეორებ. სხვა კომუნიკაცია არ მქონია.

სამართალი

№19 18 მაისი 2022 წ

ექსკლუზივი: ქურდული სამყარო „საუკუნის სხადნიაკისთვის“ ემზადება

ბათო ჯაფარიძე

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა კრიმინალური ამბები თითქოს დაჩრდილა. არადა, იმავე უკრაინაში, კრიმინალური სამყარო თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში და ბიზნესმენების ტერორიც მთელი ძალით მიმდინარეობს. ბიზნესმენებს მარტივად უხსნიან, რომ ფულის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, უბრალოდ, მოკლავენ და ეს, როგორც სტატისტიკა, ისე გატარდება. უკრაინა არაერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა დატოვა (მაგალითად, ძმებმა გრიგორი და იგორ სურკისებმა, რომლებმაც თან 16 მილიონი დოლარი ქეშად წაიღეს), მაგრამ კრიმინალები მათ საზღვარგარეთაც პოულობენ და უკრაინაში არსებული ქონების განადგურებით ემუქრებიან. არანაკლებ საინტერესო სიტუაციაა რუსეთშიც. რუს სამართალდამცავებს ყველაზე ნაკლებად, ახლა, სწორედ „კანონიერი ქურდების“ სადევნად სცალიათ. ჰოდა, ქვეყანაში არსებული კანონის მიუხედავად, რუსეთის ტერიტორიაზე კრიმინალური სამყაროს „მამები“ კვლავ გამოჩდნენ და სამართალდამცავები მათ არ დევნიან.

რომელმა „კანონიერმა ქურდმა“ დაარტყა ტარიელ ონიანს და რას ედავებიან ლავას ოღლის

ასეთი სიტუაცია მხოლოდ ამ ორ ქვეყანაში არ არის. ფაქტია: უკრაინა-რუსეთის ომმა პანდემიაც კი დაჩრდილა და იმის მიუხედავად, რომ ყოველდღიურად, ადამიანები კვლავ ავადდებიან კოვიდით და კვდებიან კიდეც, მსოფლიო მხოლოდ ომზე საუბრობს. ყველა ქვეყანა და, მათ შორის, საქართველოც, სწორედ ამ ომით ცხოვრობს და მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ომზე საუბრითა და იქ არსებული სიტუაციით იწყება. სამაგიეროდ, კრიმინალებს სცალიათ საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად და „კანონიერი ქურდები“ ცდილობენ, არა მარტო ძველი გავლენები დაიბრუნონ, არამედ, ახალი გავლენის სფეროებიც შეიძინონ. რაც მთავარია, ისინი ერთმანეთს კვლავ დაერივნენ, ახალი თაობა ძველების ჩანაცვლებასა და გაჩოჩებას ცდილობს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი გასულ კვირას იყო, როცა... ტარიელ ონიანზე გაიწიეს.

როგორც გვიყვებიან, ესპანეთიდან დუბაიში წასვლისა და იქ ცხოვრების შემდეგ, ონიანი ევროპაში დაბრუნდა და ჩერნოგორიაში დასახლდა. რაღა თქმა უნდა, თავისუფლებაზე მყოფმა, 63 წლის ყველაზე გავლენიანმა „კანონიერმა ქურდმა“ საკუთარი გავლენის სფეროების გამაგრება-გაფართოება მოისურვა და მაშინვე ახალი თაობის ქურდების მხრიდან უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. მეტიც, როგორც გვიყვებიან, მას ხელჩართული ჩხუბიც კი გაუმართეს ანუ ონიანს გაუბედეს ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ტარიელს ვარლამ კუხიანიძე (მეტსახელად, „ვატია“) და მინდია გორაძე, იგივე ლავას ოღლი შეხვდნენ და „ვატიამ“ ონიანს პრეტენზიები წაუყენა, შემდეგ კი უთხრა, რომ მას ქურდად არ თვლიდა. გაბრაზებულმა ონიანმა კუხიანიძეს ისეთი დაარტყა, რომ თვითმხილველთა ნაწილი ამბობდა, რამდენიმე კბილი დააგდებინაო, ნაწილი კი ამტკიცებდა, ყბა მოსტეხაო. ასევე, ყვებიან, რომ ონიანზე ვატიამაც გაიწია და ხელის დარტყმა მოასწრო (სხვა ვერსიით, ვერ მოასწრო) და მოჩხუბრები გორაძემ გააშველა. გაშველების შემდეგ, გორაძემ ონიანს მიმართა და უთხრა, „კანონიერ ქურდს“, ასევე „კანონიერმა ქურდმა“ არაქურდი გიწოდა, ამიტომ ვალდებული ხარ, „სხადნიაკი“ შეკრიბო და იქ გაირკვეს მტყუან-მართალიო, რაზეც ონიანს უბრალოდ თავი დაუქნევია და წასულა. როგორც ევროპაში მყოფები ამბობენ, ტარიელი ისეა გაბრაზებული, რომ ცოფებს ყრის და ამბობს, ვატიას ჯოჯოხეთს მოვუწყობო.

ბოლო წლების ერთ-ერთი უდიდესი „სხოდკის“ დაანონსებას ყველა მალე მოელის და შედეგი ყველამ იცის – ამ „სხოდკაზე“, ტიტულის გარეშე ან ონიანი დარჩება, ან – კუხიანიძე.

საქმე იმდენად სერიოზულადაა, რომ მასში ყველა ცნობილი თუ უცნობი ქურდია ჩარეული, კონტაქტზე არიან ციხეში მყოფი შაქრო კალაშოვი და ლაშა შუშანაშვილი. როგორც გვიყვებიან, კალაშოვი და შუშანაშვილი ონიანის მხარეს არ დაიჭერენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტარიელი უმცირესობაში იქნება. მის გვერდით არის მერაბ ჯანგველაძე და ამ ინციდენტის შემდეგ, ონიანის მხარეს დადგა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი „მზარეულა“ – ქარდავას კლანი.

იმასაც გვიყვებიან, რომ ონიანი არა მარტო კუხიანიძის, არამედ ლავას ოღლის ტიტულსაც ეჭვქვეშ დააყენებს და მარტივადაც დაასაბუთებს. გორაძეს უკვე გაუხსენეს, რომ „კანონიერი ქურდის“ სტატუსის მიღებამდე, მოჭიდავე იყო, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდა, ჯილდოებს ჰიმნის ფონზე იკიდებდა გულზე და მსაჯის სასტვენზე ჩერდებოდა, რაც „ქურდული კარაბადინით“, აკრძალულია.

ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, აქამდე რატომ არ გაუხსენეს გორაძეს ეს ამბებიო და პასუხი მარტივია – არ სჭირდებოდათ და იმიტომ.

ამას გარდა, ყვებიან, ონიანს აქვს უტყუარი მტკიცებულება, რომ ლავას ოღლი პირადად რეკავდა უკრაინის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და პატიმრების ნაწილს ომში წასვლისკენ მოუწოდებდა, რაც პირდაპირ ნიშნავს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევას და რაც მთავარია, ომში წასვლა ფორმის ჩაცმას ნიშნავს, რაც „ქურდული კანონებით“, ასევე, სასტიკად აკრძალულია.

შედარებისთვის: როცა მეორე მსოფლიო ომის დროს, პატიმრებს ომში წასვლის სანაცვლოდ თავისუფლებას შეპირდნენ, იქიდან დაბრუნებულები კრიმინალურმა სამყარომ აღარ მიიღო, აქაოდა, ფორმა გეცვათ და მხარზე სამხრეები გეკეთათო.

სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, უკრაინა-რუსეთს შორის მიმდინარე ომმა გავლენა საქართველოზეც იქონია. უფრო ზუსტად კი, ქართულ კრიმინალზე. ბოლო დროს, გახშირდა „შავი სამყაროს“ წევრობისთვის ახალგაზრდების დაპატიმრებები და ასევე, საგრძნობლად მოიმატა ნარკოდანაშაულზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხილებამ.

საზღვრებს გარეთ, „კანონიერი ქურდების“ გალაღებამ საქართველოშიც გამოიწვია ამ „ინსტიტუტისადმი“ კეთილგანწყობილი პირების აღტყინება და ისინი ასპარეზზე თამამად გამოვიდნენ, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები, სწორედ უკრაინასა და რუსეთს იყენებენ ნარკოტიკების მოსაპოვებლად და შემდეგ მათ შემოტანას საქართველოში ცდილობენ.

ასეა თუ ისე, უახლოეს კვირეებსა თუ თვეებში, გადანაწილება არა მარტო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მოხდება, არამედ, კრიმინალურ სამყაროშიც. რუბიკონი უკვე გადალახულია და ამ მხრივ, დათმობას არცერთი მხარე აპირებს.

ჰო, არც იმას გამორიცხავენ, რომ „სხადნიაკის“ მოწვევამდე და შეკრებამდე, რომელიმე გავლენიან კრიმინალზე თავდასხმა მოხდეს და მის მოკვლას შეეცადონ. ამიტომ, მომავალი „სხადნიაკის“ მთავარი მოქმედი პირები თავს განსაკუთრებულად უფრთხილდებიან.

საბედისწერო ბრილიანტის ქვები

რა კავშირი ჰქონდა 35 წლის მამაკაცს სკოლის მოსწავლე გოგონასთან

ბათო ჯაფარიძე

გაგიკვირდებათ და, იყო დრო, როცა სამსახურის არქონა ისჯებოდა ანუ სახელმწიფო ყველას უზრუნველყოფდა სამსახურით და მას, ვინც მუშაობას თავს არიდებდა, სჯიდნენ, დევნიდნენ და ასე განსაჯეთ, ციხეშიც კი ისტუმრებდნენ. ამიტომ, მთელი ქვეყანა დასაქმებული იყო და სკოლის დასრულების შემდეგ, გოგონები ან ტექნიკურ სასწავლებლებში მიდიოდნენ, ან უმაღლესში აბარებდნენ, ბიჭებიც იგივეს აკეთებდნენ, ოღონდ ერთი სხვაობით – სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაევლო, პრაქტიკულად, ყველას, ვისაც კი უმაღლეს სასწავლებელში სამხედრო კათედრა არ ჰქონდა. შესაბამისად, როცა ვინმე სამსახურში არ მივიდოდა, შინ ურეკავდნენ და არკვევდნენ, რა იყო გამოუცხადებლობის მიზეზი, ეძებდნენ... სწორედ ასე, ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც რიგით ზეინკლად მუშაობდა, სამსახურში არ გამოცხადდა, არც სატელეფონო ზარებს პასუხობდა და საღამოს შინ მეგობარმა მიაკითხა იმის გასარკვევად, თუ რა იყო სამსახურში არყოფნის მიზეზი.

„როცა ის ბინის კართან მივიდა, იქვე, მეზობლის ქალი კიბეს ხვეტდა. მეგობარმა კარს ხელი მოკიდა და ცივად გაუშვა, რადგან სახელურზე სისხლი იყო და მაშინვე მილიციაში დარეკეს. ადგილზე ხელოსანიც მივიყვანეთ, რომელმაც საკეტების შემოწმების შემდეგ დაბეჯითებით თქვა, კარი შიგნიდან არის ჩაკეტილიო. მის სიტყვებში მაშინ დავრწმუნდი, როცა კარის ორივე საკეტი გახსნა, მაგრამ ვერ შევაღეთ, შიგნიდან ჯაჭვით იყო დამაგრებული. ჯაჭვიც გადავჭერით და ბინაში შევედით. ბინის პატრონი სავარძელში იწვა, წინ, პატარა მაგიდაზე, თასით წყალი ედგა, ხელში სისხლიანი ნაჭერი ეკავა და თავიდან სისხლი მოჟონავდა. ის გარდაცვლილი გახლდათ და როგორც ექსპერტმა თქვა, სავარაუდოდ, 12-14 საათის მკვდარი იყო. უფრო დეტალურ დასკვნას, დაახლოებით, 48 საათი სჭირდებოდა და დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნის იმედიც არ იყო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სანამ ექსპერტიზის დასკვნა მომზადდებოდა, სამართალდამცავებმა მეზობლები გამოკითხეს. არავის დაუნახავს, როგორ დაბრუნდა სახლში გარდაცვლილი, თუმცა მეეზოვემ თქვა, დავინახე, მანქანა ავტოფარეხთან რომ დააყენა, კარი გააღო, ვიღაც კაცი მიესალმა, მერე ორივე შიგნით შევიდა და მეც ჩემს საქმეებზე წავედიო. ძალოვნებმა ავტოფარეხი ნახეს, მანქანა ისევ გარეთ იდგა, კარიც ღია იყო და შიგნით სისხლის კვალი ჩანდა. ცხადი იყო, გარდაცვლილს ფიზიკურად სწორედ იქ გაუსწორდნენ, მაგრამ არც ნაკვალევი, არც რამე სამხილი... ერთადერთი იმედი ექსპერტის დასკვნა გახლდათ, თუმცა...

„გარდაცვლილს თავის არეში სამი მძიმე ჭრილობა აქვს მიყენებული. სამივე ბლაგვი საგნით და ამან ტვინის ორი კაპილარის დაზიანება გამოიწვია. გარდაცვლილმა ვერ აღიქვა დაზიანების სიმძიმე, ამიტომ საავადმყოფოში არ წავიდა, თუმცა რომც წასულიყო, საეჭვოა, ექიმებს ოპერაციის გაკეთება მოესწროთ“, – ეწერა ექსპერტის დასკვნაში.

გამოდიოდა, რომ მამაკაცი საკუთარ ავტოფარეხში სცემეს, შემდეგ ის შინ ავიდა, კარი ჩაკეტა, შეეცადა, პირველადი დახმარება საკუთარი თავისთვის თავად გაეწია, მაგრამ გარდაიცვალა.

რაც მთავარია, მეეზოვის ჩვენების მიხედვით, მამაკაცი, ვინც მას დაზიანება მიაყენა, გარდაცვლილს კარგად იცნობდა, რადგან ისინი ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ და კეთილგანწყობის ნიშნად, მხარზე ხელიც კი მოუთათუნეს.

„ქურდობის მიზნით, სხეულის დაზიანება გამოირიცხა, რადგან გარდაცვლილს ჯიბეში 300 მანეთამდე ფული ჰქონდა, ხელზე ძვირფასი საათი ეკეთა და ოქროს ყელსაბამიც ხელუხლებელი იყო ანუ თავდამსხმელს ძვირფასეულობა და ფული არ სჭირდებოდა. მეორე მხრივ, მას ყველა დადებითად ახასიათებდა, 35 წლის, უცოლშვილო კაცი უკონფლიქტო პიროვნება გახლდათ, ჰქონდა სახლი, სამსახური და წარმოდგენაც კი არ გვქონდა, მკვლელი სად უნდა გვეძებნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამაგიეროდ, მისმა უახლოესმა მეგობარმა გაიხსენა, რომ გარდაცვლილს შეყვარებული ჰყავდა და ის გოგონა... სკოლის მოსწავლე იყო. მეტიც, გოგონას მამა იმუქრებოდა, ჩემს შვილს თუ არ შეეშვები, მოგკლავო, ერთხელ, სამსახურთანაც დახვდა და მუშტი-კრივიც გაიმართა. ძალოვნები ამ ვერსიას ჩაეჭიდნენ, რადგან სხვა გზა, უბრალოდ, არ ჰქონდათ. რაც მთავარია, პირველი დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ იმ დროისთვის გოგონას მამას ალიბი არ ჰქონდა.

„თქვენი შვილი სკოლის მოსწავლე რომ იყოს და 35 წლის მუტრუკმა თავ-გზა აუბნიოს, რა ხასიათზე დადგებით? დიახ, ვაღიარებ, რომ ვცემე და კიდევ არაერთხელ ვცემდი, თუმცა არ მომიკლავს და არც მის ავტოფარეხში ვყოფილვარ. რაც შეეხება ალიბის, იმ დღეს ქალაქიდან ვიყავი გასული, უკან გვიან დავბრუნდი და ვიღაცის უცხო მანქანა გავაჩერე. 3 მანეთი მივეცი და აბა, რა ვიცი, ის კაცი სად ვეძებო. ერთი ეგ ვიცი, საუბარში ახსენა, რესპუბლიკურში ძმა მიწევს, ხიდან ჩამოვარდა და ხერხემალი აქვს დაზიანებულიო“, – ამბობდა გოგონას მამა.

სამართალდამცავები რესპუბლიკურში მივიდნენ, გაარკვიეს, რომ ხერხემლის დაზიანებით კაცი მართლაც იწვა, შემდეგ მისი ძმა მონახეს, რომელმაც ყველაფერი დაადასტურა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძალოვნებს არც ვერსია ჰქონდათ და არც ეჭვმიტანილი ჰყავდათ. ამ დროს კი ისეთი რამ მოხდა, რასაც არავინ ელოდა. გარდაცვლილის დასაფლავების შემდეგ, მისი ბინა დაიკეტა და მეორე დღეს მეზობლებმა დარეკეს, ბინა გატეხესო. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა გაოცებისგან კვლავ პირი დააღეს – სახლი გადატრიალებული იყო, ყველა კუთხე და კუნჭული გაჩხრეკილი, რამდენიმე ადგილზე კედელიც კი იყო ამონგრეული და... წაღებული არაფერი გახლდათ ანუ ვიღაცა ეძებდა კონკრეტულ ნივთს და არა – ძვირფასეულობას. სამაგიეროდ, ერთ-ერთ ლარნაკთან, რომელიც დალეწილი იყო, სისხლის მოზრდილი კვალი ჩანდა ანუ ქურდმა ხელი გაიჭრა. ის, რასაც ეძებდნენ, მცირე ზომის უნდა ყოფილიყო, რადგან გატეხეს ლარნაკი, გამოანგრიეს კედელი, დაშალეს ხის კარადა... გამომძიებლებმა ახლიდან დაჰკითხეს გარდაცვლილის მეგობრები, ნათესავები, მაგრამ ყველა ერთხმად ამბობდა, რომ მას არაფერი ჰქონდა ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა მოეკლათ.

„ექსპერტმა თქვა, სისხლის კვალით თუ ვიმსჯელებთ, ქურდს საკმაოდ ღრმა ჭრილობა უნდა ჰქონდეს და ეს ჭრილობა აუცილებლად ხელზე უნდა იყოსო. არ იყო ეს მცირე დეტალი, მაგრამ სად უნდა გვეძებნა ადამიანი ხელზე ჭრილობით, ეგ არ ვიცოდით. საბოლოოდ, იმ ქარხნის დირექტორს ვთხოვეთ, გაეკონტროლებინა ყველა თანამშრომელი და თუ რომელიმეს ხელზე დაზიანება ექნებოდა, ჩვენთვის ეცნობებინა. ჩვენ კი მისი სანათესაოს შემოწმება დავიწყეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დირექტორმა მეორე დღეს დარეკა და აღნიშნა, რომ ხელზე ჭრილობა არავის ჰქონდა, თუმცა ავადმყოფობის გამო, სამმა თანამშრომელმა სამსახურიდან ერთკვირიანი შვებულება აიღო. ძალოვნებმა სამივე გადაამოწმეს, ერთს მაღალი სიცხე ჰქონდა, მეორეს – ფეხის თითი მოტეხილი, ხოლო მესამეს – ხელზე საკმაოდ ღრმა ჭრილობა. პოტენციური ეჭვმიტანილი რომ არ დაეფრთხოთ, გამომძიებლებმა იმ ექიმს სთხოვეს სისხლის სინჯის აღება, რომელიც გადახვევებს აკეთებდა და ბინაში ნაპოვნს შეადარეს. დამთხვევა ასპროცენტიანი იყო ანუ სამართალდამცავებს, მინიმუმ, ბინის ქურდი ხელში ჰყავდათ. ის მაშინვე დააკავეს. ძალოვნებმა ხერხი იხმარეს და თქვეს, რომ მეეზოვემ მასში სწორედ ის კაცი ამოიცნო, ვინც გარდაცვალებამდე ავტოფარეხში შევიდა და დაკავებულმაც ჩვენების მიცემა დაიწყო.

„ექვსი თვის წინ, გარდაცვლილთან ერთად, სათევზაოდ ვიყავით. ჭიები გაგვითავდა და მიწის თხრა დავიწყე. მოულოდნელად რაღაც კოლოფს წავაწყდი, რომელშიც დაუმუშავებელი ბრილიანტის ოთხი ქვა იდო. ბრილიანტთან შეხება არასდროს მქონია, მან კი მთხრა, ვიცი, სადაც უნდა გავყიდო, 50 ათას მანეთს მარტო შენ წილად მოგცემო. აგერ, ნახევარი წელი გავიდა და მეუბნებოდა, არ გამიყიდია, არ გამიყიდიაო. ამასობაში, კლიენტი მე ვნახე და ჩემი წილი ქვები მოვითხოვე, იმან კიდევ, ვერ გენდობი, რომ ჩავარდე, მეც დამიჭერენო. სწორედ ამის გასარკვევად მივედი იმ დღეს და როცა მივხვდი, ქვების მოცემას არ აპირებდა, იქვე, აგურის ნატეხი ავიღე და თავში რამდენჯერმე ჩავარტყი. მოკვლა არ მინდოდა, მითხრა, ხვალ მოგცემ, ისეთ ადგილზე მაქვს დამალული, ასე დასისხლიანებული ვერ წავალო. მერე გავიგე, რომ მოკვდა და ბინაშიც იმ ქვების პოვნის იმედად შევედი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ გაუფრთხილებლობით მკვლელობის მუხლით დაკავებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ამინდის გამოსვლასთან ერთად, ტყეებში ადამიანები სულ უფრო ხშირად გადიან. პიკნიკი ან, უბრალოდ, სუფთა ჰაერზე გასვლა და გართობა სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ასეთი გასვლების შემდეგ, ტყესა და მდელოებს არაერთი ადამიანი ანაგვიანებს და ამას არაფერი ეშველება, თუ თითოეულ ჩვენგანს შინაგანი კულტურა არ გაგვაჩნია. სწორედ ასეთი ნაგვის გროვაში მოქალაქეებმა ახალგაზრდა გოგონას სხეული იპოვეს. ყველას ეგონა, რომ გოგო გარდაცვლილი იყო და მილიციაში დარეკეს, სამართალდამცავებს სასწრაფო დახმარების მანქანაც მოჰყვა და ექიმმა ხმამაღლა დაიძახა – ცოცხალია! გოგონა მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს, სამართალდამცავებმა კი ადგილის შესწავლა დაიწყეს. ყველაფერი ეს, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მოხდა, სადაც ყველა ყველას იცნობდა და ამიტომ, სანამ სამართალდამცავები გაარკვევდნენ, ვინ იყო დაზარალებული, დასასვენებლად მყოფმა რამდენიმე მოქალაქემ თქვა, ეს გოგო ჩვენი თეატრის მსახიობია, რამდენიმე სპექტაკლში მთავარ როლს თამაშობსო. ძალოვნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გოგონას თავის არეში დაზიანება სხვაგან მიაყენეს, შემდეგ იმ ადგილზე მიიყვანეს და დააგდეს. სავარაუდოდ, ის თავდამსხმელსაც გარდაცვლილი ეგონა, სხვაგვარად, ცოცხალს არ დატოვებდა.

დაქალის სისხლიანი შურისძიება

ვინ არის მსახიობი, რომელმაც საქმროს თითები მოსტეხა

„დაზარალებულს თავში რკინის ნაჭერი აქვს ჩარტყმული. სავარაუდოდ, „მანტიროვკა“, რადგან თმაზე მანქანის ზეთისა და ტაოტის კვალიც აქვს. რაც მთავარია, თავში ორჯერ ჩაარტყეს და სავარაუდოდ, ეს ქალმა ჩაიდინა, რადგან მამაკაცი, უბრალოდ, მოკლავდა“, – ასეთი იყო ექსპერტების დასკვნა. სამართალდამცავები თეატრში წავიდნენ, სადაც გოგონას დაზიანება კი შეიცხადეს, მაგრამ არავის გაჰკვირვებია, ისეთი აუტანელი იყო, ადრე თუ გვიან, ვიღაც აუცილებლად გაუბრაზდებოდაო. აუტანლობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველას ზემოდან უყურებდა და ამბობდა, ადრე თუ გვიან, მე რუსთაველის თეატრში წავალ და მთავარი მსახიობი გავხდებიო. მას დასში ერთადერთი მეგობარი და... საქმრო ჰყავდა. ის საქმრო, რომელთანაც გაუჩინარებამდე რამდენიმე საათით ადრე იჩხუბა და ხელში ხის ნაჭერი ისეთი ძალით ჩაარტყა, რომ საქმროს სამი თითი მოტყდა. შეიძლება, ეს მოტივიც ყოფილიყო და ზოგადად, არავინ იცის, რატომ იჩხუბეს შეყვარებულებმა, ამიტომ გამომძიებლები საავადმყოფოში წავიდნენ.

„ჯერ ერთი, კამათის მიუხედავად, მის ცოლად მოყვანას მაინც ვაპირებ და მეორეც, ვერანაირად შევძლებდი მისთვის თავში რამე ჩამერტყა იმიტომ, რომ მარჯვენა ხელის თითები მაქვს მომტვრეული და მარცხენა ხელს ჩვეულად ვერ ვხმარობ, ფანქარსაც კი ვერ გავთლი ანუ მემარჯვენე ვარ და მესამე – მე სასწრაფო დახმარების მანქანამ წამიყვანა, მთელი ღამე საავადმყოფოში გავატარე, პირველ ჯერზე, თაბაშირი არასწორად დამადეს, მომხსნეს, ახლიდან დამადეს და როგორ გგონიათ, თავში ჩარტყმას მოვახერხებდი?“ – განაცხადა საქმრომ და მართალიც იყო.

რაც შეეხება კამათს, საქმე ის გახლდათ, რომ რაიონში თბილისიდან რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი იყო ჩასული და თბილისში სწორედ იმ გოგოს წაყვანა სურდა, რომელიც სიკვდილის პირას იპოვეს. თეატრის წარმომადგენელმა მხრები აიჩეჩა, მე რა შუაში ვარ, 2-3 დღეში თბილისში უნდა წავსულიყავი, ეს გოგონა კი ერთი კვირის შემდეგ ჩამოსულიყო, მე, უბრალოდ, გასაფრთხილებლად ჩამოვედი და თან, სანამ თეატრში მოვიდოდა, მეტყველების პედაგოგთან უნდა ევლო, საუბრის შესაბამისი უნარები რომ ჰქონოდაო.

სამართალდამცავებისთვის მოულოდნელად, განყოფილებაში მეტყევე გამოცხადდა, რომელმაც განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ ახლა გაიგო და სწორედ იმ ადგილებში, ღამის საათებში, „ჟიგულის“ მარკის ავტომობილი ისე სწრაფად მიჰქროდა, კინაღამ დაეჯახა. მეტყევემ სიბნელეში ფერი ვერ გაარჩია, ის კი თქვა, მუქი ფერის იყოო და დაამატა, ნომერი სრულად ვერ გავარჩიე, მაგრამ ბოლო ორი ციფრი ოთხიაანები იყო, თავს დავდებო. მაშინ რაიონში ავტომობილები იშვიათი მოვლენა გალხდათ და თანაც, ბოლო ორი ციფრი თუ იცოდი, მანქანის პოვნა სირთულეს არ წარმოადგენდა. საგზაო მილიციის თანამშრომლებმა ჟიგული მალე გაშიფრეს და ის... დაზარალებული გოგონას საქმროს ეკუთვნოდა.

ძალოვნებს არც მანქანის ჩხრეკისა და ექსპერტიზის ჩატარების უფლების მოპოვება გასჭირვებიათ და საბარგულში სისხლის კვალი ნახეს. სისხლის ჯგუფი დაზარალებულისას ემთხვეოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სხეული სწორედ ამ ავტომობილით გადაიტანეს. მილიციამ საქმრო დააკავა.

„სხვაგან ეძებთ, არასწორად ეძებთ, დამიჯერეთ, რომ არაფერ შუაში ვარ. არც ის მჯერა, რომ ჩემი მანქანა გამოიყენეს, თუმცა ამას არ გამოვრიცხავ. მე სასწრაფომ წამიყვანა, ავტომობილი თეატრის ეზოში იდგა, გასაღები კი საგრიმიოროში, მაგიდაზე მედო“, – განაცხადა დაკავებულმა.

იმის მიუხედავად, რომ ძალოვნებმა ექიმები უმკაცრესად დაკითხეს, ისინი ადასტურებდნენ, რომ დაკავებულს საავადმყოფოდან ფეხი არ გაუდგამს და აუტანელი ტკივილის გამო, მასთან მუდმივად იყო ექთანი, რადგან ვერ ჩუმდებოდა, პალატაც კი გამოუცვალეს, რათა სხვა პაციენტები არ შეეწუხებინა და იმ პალატაში სამედიცინო დაწესებულების ერთი თანამშრომელი მუდმივად იმყოფებოდა. გამოდიოდა, რომ ვიღაცამ, მართლაც, ისარგებლა მისი ავტომობილით, მაგრამ ვინ? ძალოვნებმა მამაკაცებს მიაქციეს ყურადღება, რადგან მაშინ იშვიათი იყო, ქალს მანქანის ტარება სცოდნოდა, მაგრამ საეჭვო ვერავინ აღმოაჩინეს. პრაქტიკულად, ყველას ალიბი ჰქონდა და ამიტომ, თითქოს შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, ვის შეიძლებოდა გაემეტებინა სასიკვდილოდ გოგონა. დაზარალებული კომაში იყო და ექიმები იმედს ვერ იძლეოდნენ. მისი აზრზე მოსვლა საქმეს გახსნიდა და სწორედ ამიტომ, მის პალატასთან ორი ოპერმუშაკი მორიგეობდა, დამნაშავეს დაწყებული საქმე ბოლომდე რომ არ მიეყვანა. მცდელობა არავის ჰქონია და სამართალდამცავებმაც ისევ გოგონას საქმროს გარშემო დაიწყეს წრიალი, ოღონდ ამჯერად, ისინი საქმროსგან ითხოვდნენ, გაეხსენებინა მცირე დეტალიც კი, რომელსაც შეიძლებოდა, ასეთ შედეგამდე მიეყვანა მისი საცოლე. ნებისმიერი კონფლიქტი, გაუგებრობა, უთანხმოება... საქმრომაც კარგა ხანს იფიქრა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

საქმე ის გახლდათ, რომ გოგონას უმნიშვნელო კამათი და უსიამოვნება, პრაქტიკულად, ყველასთან ჰქონდა. თავის ერთადერთ მეგობართანაც კი ხშირად ჩხუბობდა, მაგრამ ის მუდმივად უთმობდა. ბოლოს კი იმის გამო იჩხუბეს, რომ რუსთაველის თეატრიდან ჩამოსული პირი მეორე გოგონათიც დაინტერესდა, თუმცა დაზარალებულმა ყველაფერი გააკეთა, რომ თბილისში მხოლოდ თავად წასულიყო. არავინ იცის, რა უთხრა თბილისიდან ჩამოსულ ადამიანს, მაგრამ ფაქტია, მან მეორე გოგონას წაყვანა გადაიფიქრა და ძიების პროცესში, სამართალდამცავებმა პირველად მიაქციეს ყურადღება დაზარალებულის საუკეთესო მეგობარს. ისიც გაარკვიეს, რომ მას... მართვის მოწმობა ჰქონდა და ავტომობილის მართვა იცოდა, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ გოგონა არაფერს იტყოდა მანამ, სანამ იყო შანსი, რომ არაფერი გარკვეულიყო.

რაიონში ყველამ იცოდა, რომ მილიციას სამხილი არ ჰქონდა, ამიტომ ძალოვნებმა ხერხს მიმართეს – ერთ დღეს, ხმა გაავრცელეს, რომ დაზარალებული აზრზე მოვიდა და მეორე დღეს დაკითხავდნენ, პარალელურად, მის მეგობარ გოგონას უთვალთვალებდნენ. ის მაშინ დააკავეს, როცა სადგურზე, თბილისის ბილეთი აიღო, თან ორი დიდი ჩემოდანი ჰქონდა – რაიონიდან წასვლას აპირებდა და ისე, რომ არც თეატრში გააფრთხილა ვინმე, არც – სახლში. განყოფილებაში დაზარალებულის ყალბი ჩვენება დაუდეს, რომელიც ხელს, სწორედ მეგობარს „ადებდა“.

„ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობთ. თეატრშიც მე მოვიყვანე, მაგრამ მთელი ცხოვრება მამცირებდა და მეუბნებოდა, რომ ყოველთვის ჩემზე წარმატებული იქნებოდა. იმ დღეს, როცა თბილისიდან ჩამოსული მაესტრო გვესწრებოდა, საოცრად ვითამაშე და თავად თქვა, სინჯებზე ამ გოგონასაც წავიყვან, ძალიან მომწონსო. შემდეგ არ ვიცოდი, რა მოხდა, მაგრამ მითხრეს, რომ თბილისში აღარ მივდიოდი. იმ დღეს, როცა საქმროს თითები მოსტეხა, ვამშვიდებდი და ვეუბნებოდი, ცოტა ნორმალურად მოიქეცი, რაც უნდა იყოს, საქმროა-მეთქი და სწორედ მაშინ მომაძახა, იმ თბილისელ კაცს მე ვუთხარი, რომ შენნაირი წარუმატებელი და მახინჯი თბილისში არ უნდა წაიყვანოს. გარდა ამისა, მე კონკურენტი არ მჭირდება, ამიტომ აქ ეგდები და თუ გინდა, ჩემს საქმროსაც დაგიტოვებ, თბილისში უკეთესს ვიშოვნიო. თავში რაღაცა გადამეკეტა, გარეთ გამოვედი, ჰაერი რომ ჩამეყლაპა და მისი საქმროს მანქანა დავინახე. ვიცოდი, გასაღები მუდმივად საგრიმიოროში ედო და ავიღე, მანქანიდან „მანტიროვკა“ ამოვიღე და ჩემს მეგობარს ვუთხარი, თუ იცი, შენს საქმროს საბარგულით რა დააქვს-მეთქი. უკვე ბნელოდა, გამოვიდა, ჩაიხედა და სწორედ ამ დროს დავარტყი. მერე წავიყვანე და ტყეში დავაგდე. არ ვიცი, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი და სიმართლე გითხრათ, იმ წუთს, არც მაინტერესებდა“, – დაასრულა მოყოლა გოგონამ.

სასამართლომ, სხეულის განზრახ დაზიანებისთვის, 5-წლიანი სასჯელი შეუფარდა, დაზარალებული აზრზე ერთი თვის შემდეგ მოვიდა, თუმცა არც თბილისში წაუყვანიათ და ადგილობრივი თეატრიდანაც უხმაუროდ გაუშვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის თბილისსა და რეგიონებში 17 პირი დააკავა – მათ შორის, 14 ნარკორეალიზატორია

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, ქუთაისში, აჭარასა და კახეთის რეგიონში ნარკოდანაშაულისთვის 17 პირი დააკავეს, მათ შორის 14 ნარკორეალიზატორია.

1996 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ რ.ფ.-ს, 1984 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ე.ა.-ს, 1981 წელს დაბადებულ დ.ხ.-ს, 1976 წელს დაბადებულ მ.გ.-ს, 1986 წელს დაბადებულ ი.თ.-ს, 1996 წელს დაბადებულ თ.მ.-ს, 1974 წელს დაბადებულ ვ.ბ.-ს, 1981 წელს დაბადებულ გ.კ.-ს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს: 1984 წელს დაბადებულ ჰ.კ.-ს და 1986 წელს დაბადებულ მ.ნ.-ს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებაში ედებათ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონო გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1994 წელს დაბადებული ი.დ., 1997 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ჩ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1985 წელს დაბადებული ა.მ. და 2002 წელს დაბადებული დ.კ.

1985 წელს დაბადებულ, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევ და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ც.ღ.-ს, 1976 წელს დაბადებულ ვ.ბ.-ს და 1981 წელს დაბადებულ რ.გ.-ს კი ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

მათი პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები და ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულისთვის, ვ.ბ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მიერ მითითებული ადგილის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 2945 აბი ნარკოტიკული საშუალება „ტრამადოლი“, 2586 აბი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“, სარეალიზაციოდ გამზადებული და 71 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „გეკოს“ სისტემის იარაღი, ხელყუმბარა, 305 ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 7 მჭიდი.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ, თბილისში კიდევ ერთი დაკავებული პირი – ა.მ. ჩართული იყო ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემაში. იგი სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დედაქალაქის კონკრეტულ უბნებში ათავსებდა ნარკოტიკულ საშუალებას. პოლიციამ ბრალდებულის მიერ სხვადასხვა ადგილას სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება, 10 შეკვრად დაფასოებული „ალფა პვპ“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეები – ჰ.კ. და მ.ნ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ვიდეოგადაღება. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ნივთმტკიცებად ამოიღო.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, წარსულში ნარკოტიკული დანაშაულისათვის მრავალჯერ ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.კ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქუთაისში დააკავეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულმა დ.კ.-მ, შემდგომი გასაღების მიზნით, ნარკოტიკი ბათუმში, სხვადასხვა ადგილზე განათავსა. სამართალდამცველებმა დაკავებულის მიერ მითითებული სამალავებიდან ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“. ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე ნივთმტკიცებად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი ბათუმში, ბრალდებული ც.ღ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს 16 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც „ჰეროინსა“ და „ბუპრენორფინს“ შეიცავს.

რაც შეეხება ი.დ.-სა და ს.ჩ.-ს, აჭარის პოლიციამ მათ მიერ სხვადასხვა ადგილას სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 23 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი. სამართალდამცველებმა, ი.დ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკი, მათ შორის, 312 ერთჯერადი გამოყენების შპრიცი „ჰეროინის“ შემცველი სითხით.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს რ.ფ.-სა და ე.ა.-სგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო მათ მიერ გაყიდული ნარკოტიკები და სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული ფული.

კახეთის პოლიციის მიერ კიდევ ერთი დაკავებულის – რ.გ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია 1 კილოგრამზე მეტი „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის, მცენარე კანაფის ან მარიხუანას უკანონო გასაღებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით, 19-260-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 273-ე პრიმა მუხლის მე-8 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

უეფამ ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატი დაამტკიცა

ბოლო სამი-ოთხი წელია, ფეხბურთის გულშემატკივრები ამბობენ, რომ ჩემპიონთა ლიგა უინტერესო გახდა. უფრო ზუსტად, გულშემატკივრები ხშირად საუბრობდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩები ძირითადად უინტერესოდ მიმდინარეობდა, გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა ძნელი არ იყო და ასევე, მერვედფინალებიც, ამავე მიზეზით, ძალზედ უინტერესო გახლდათ. ფანების მოსაზრებას სპეციალისტებიც ეთანხმებოდნენ და უეფას პრეზიდენტმა პირობა დადო, რამე ახალს მოვიფიქრებთო. ჰოდა, მოიფიქრეს, თუმცა რამდენად საინტერესო იქნება, მომავალი გვიჩვენებს. განახლებული ფორმატი ძალაში 2024-25 წლების სეზონიდან შევა. რას გულისხმობს ის?!

ახალი წესების მიხედვით, ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილე კლუბების ოდენობა 32-დან 36-მდე გაიზრდება და ტურნირი შვეიცარიული სისტემთ ჩატარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გაუქმდება ჯფუფური ეტაპი და ყველა გუნდი ერთ ჯგუფად გაერთიანდება. თითოეული კლუბი ჯგუფში 10 შეხვედრას გამართავს, საიდანაც ხუთს – საკუთარ მოედანზე, ხუთს – სტუმრად ჩაატარებს. ამ ათ შეხვედრაში დაგროვებული ქულების მიხედვით, პირველ რვა ადგილზე გასული კლუბები, პირდაპირ, მერვედფინალში მოხვდებიან, 9-24 ადგილზე გასული 16 გუნდი კი, გასვლა-მიღების პრინციპით, ორ-რაუნდიან დაპირისპირებაში გადაწყვეტს დარჩენილი რვა მერვედფინალისტის ვინაობას. მერვედფინალიდან კი ფორმატი ჩვეულებრივ, ორ-რაუნდიანი დაპირისპირებებით გაგრძელდება. ყველა შეხვედრა კვლავ შუა კვირაში გაიმართება, რათა ეროვნულ ჩემპიონატებს ხელი არ შეეშალოთ, მაგრამ

შეხვედრების სიმრავლიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგის მატჩები სამშაბათისა და ოთხშაბათის გარდა, ხუთშაბათსაც ჩატარდეს.

დისკვალიფიკაცია – მაყურებელს, ჯარიმა – კლუბს

ქართულ ელ-კლასიკოდ წოდებული ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ დაპირისპირებას არაერთხელ ჩაუვლია დაძაბულ ფონზე, თუმცა მეათე ტურში გამართული მატჩი მაინც უცნაურად დასრულდა. დედაქალაქური კლუბი ქუთაისში 2:1-ს იგებდა, მსაჯმა ძირითად დროს 7 წუთი დაამატა და დამატებული დროის ამოწურვამდე 50 წამი იყო დარჩენილი, როცა ჯერ ტრიბუნებზე შეიქმნა უმართავი სიტუაცია, შემდეგ მოედანზე, საბოლოო ჯამში, არბიტრმა შეხვედრა აღარ გააგრძელა და მატჩი ჩაიშალა. შესაბამისად, მომხდარზე სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა და სასჯელი ორივე კლუბს ერგო. მაშ ასე, დავიწყოთ:

„ტორპედოს“ აღნიშნულ შეხვედრაში 0:3 ტექნიკური წაგება ჩაეთვალა. ამასთან ერთად, ქუთაისური კლუბი მომდევნო 5 საშინაო შეხვედრას მაყურებლის გარეშე ჩაატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე, გულშემატკივარი 20 აგვისტომდე ვერ მივა. „ტორპედოდან“ ფულადი ჯარიმა და 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაეკისრათ მოთამაშეებს – ბაქარ მირცხულავას, დინო ჰამზიჩს, ლევან მჭედლიძესა და ვაჟა ტაბატაძეს. იგივე სასჯელი მიიღო მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა, შოთა ბაბუნაშვილმა. ფულადი ჯარიმა და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო ქუთაისური კლუბის ფიზ-მომზადების მწვრთნელმა, თემურ ჯანაშიამ.

3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა დაეკისრა „დინამოს“ ფეხბურთელს გიორგი პაპავას 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო „დინამოელმა“ დიმიტრი ანტილევსკიმ, ფულადი ჯარიმა დაეკისრა თბილისური კლუბის მეკარეების მწვრთნელს ევგენი ტაიკევიჩს. საერთო ჯამში, ჯარიმის სახით, „ტორპედოს“ 6 900 ლარის გადახდა მოუწევს, „დინამოს“ – 2 400 ლარის.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, გადადგომაზე განცხადება დაწერა ქუთაისელთა თავკაცმა, გია ცეცაძემ და მის ნაცვლად, „ტორპედოში“ კახა ჩხეტიანი დანიშნეს. რასაც ახლა ვიტყვით, შესაძლოა, ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ... სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება ზედმეტად რბილი გვგგონია. რატომ? – იმიტომ, რომ ყოველი მატჩის წინ, რომელშიც „ტორპედო“ „დინამოს“ მასპინძლობს, არსებობს ვარაუდი, რომ შეხვედრა ჩხუბისა და არეულობის გამო ჩაიშლება და პროგნოზი ხშირად მართლდება. ჰოდა, ეს ამბავი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს.

შერმადინი სიმბოლურში... ზედიზედ, მესამედ!

საქართველოს ნაკრებისა და ესპანური „ტენერიფეს“ კალათბურთელი, გიორგი შერმადინი წლის საუკეთესო ხუთეულში, ზედიზედ, მესამედ დაასახელეს. ქართველი ცენტრი მართლაც გამორჩეულ სეზონებს ატარებს და ამიტომ, სიმბოლურ ნაკრებში მისი მოხვედრა გასაკვირი არ იყო. ჩამპიონატის სიმბოლური ნაკრების გამოვლენაში გუნდების მწვრთნელები, კაპიტნები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები მონაწილეობენ (თითოეულზე ხმების 25% მოდის) და შესაბამისად, არაობიექტურობას ვერავინ ვერავის დასწამებს. ცენტრის პოზიციაზე მწვრთნელებმა და ქომაგებმა გიორგი პირველ ნომრად დაასახელეს, ჟურნალისტებმა და გუნდის კაპიტნებმა – მეორეზე.

ახლა მთავარი ის არის, ვის დაასახელებენ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. ეს გამოკითხვაც ზუსტად ანალოგიური პრინციპით ტარდება და ჯერჯერობით, მოქმედი გამარჯვებული... გიორგი შერმადინია.



ნახვამდის! ლევანდოვსკი „ბაიერნიდან“ მიდის

როცა გასული სეზონის შედეგების მიხედვით, „ოქროს ბურთი“ ლიონელ მესის მისცეს, გულშემატკივართა უდიდესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ჯილდო პოლონელ ფორვარდს, რობერტ ლევანდოვსკის ეკუთვნოდა. „ბაიერნის“ შემტევს მართლაც საოცარი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ჯილდო ვერ მიიღო და ამის გამო, უკმაყოფილება არ დაუმალავს. ლევანდოვსკი გერმანულ გრანდში 2014 წელს გადავიდა, მიმდინარე დასრულებული სეზონის ჩათვლით, 253 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 238 გოლიც გაიტანა. მასვე ეკუთვნის უნიკალური მიღწევა, რომელიც საეჭვოა ვინმემ ოდესმე გაიმეოროს – რობერტმა ერთ-ერთ შეხვედრაში, 9 წუთის განმავლობაში, ხუთი გოლის გატანა მოახერხა.

„ბაიერნმა“ სეზონის ბოლო შეხვედრა „ვოლფსბურგის“ წინააღმდეგ ჩაატარა და გუნდის სეზონის ბოლო გოლი, სწორედ ლევანდოვსკიმ გაიტანა. მატჩის დასრულების შემდეგ, ის გულშემატკივრების ტრიბუნასთან მივიდა და ფანებს დაემშვიდობა. როგორც ჩანს, ეს ჟესტი გულშემატკივართათვის გასაგებზე გასაგები იყო და მათ კლუბის ხელმძღვანელობას, მთავარი გოლეადორის შენარჩუნება მოსთხოვეს, მაგრამ ისე ჩანს, რომ პოლონელი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს.

„მე ლევანდოვსკის ვესაუბრე, შევთავაზე ახალი კონტრაქტი და უარი მივიღე. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ მსურველებს უნდა ესმოდეთ, რომ რობის ჩვენთან კონტრაქტი 2023 წლამდე აქვს და მას უფასოდ არავის გავატანთ“, – განაცხადა „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა, ჰასან სალიჰამიჯიჩმა.

როგორც ამბობენ, ლევანდოვსკის აგენტი მოლაპარაკებას „ბარსელონასთან“ აწარმოებს და არც კატალონიური კლუბის თავკაცი, ხავი ერნანდესი მალავს პოლონელი ფორვარდის დამატების სურვილს, თუმცა თუ „ბაიერნი“ დიდ თანხას მოითხოვს, 33 წლის შემტევში, „ბარსა“ ათეულობით მილიონს ნამდვილად არ გადაიხდის.

21 წლის ბავშვი კვირაში 440 ათასს მიიღებს

დასრულდა საგა, სახელად, ერლინგ ჰოლანდი. დორტმუნდის „ბორუსიას“ 21 წლის ფორვარდზე ევროპის ტოპ-კლუბები ნადირობდნენ და საბოლოო ჯამში, ნორვეგიელი შემტევი „მანჩესტერ სიტის“ ერგო. გერმანული კლუბის სამწუხაროდ, ჰოლანდის კონტრაქტში იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მას კლუბის დატოვება შეეძლო, თუ მის სანაცვლოდ, მინიმუმ, 75 მილიონ ევროს გადაიხდიდნენ. არადა, ერლინგი გაცილებით მეტი ღირს და კლუბები მზად იყვნენ, 100 მილიონიც კი გადაეხადათ, თუმცა სახელფასო ლიმიტის გამო, თავად მთამაშეს სოლიდურ ჯამაგირს ვერ სთავაზობდნენ. საბოლოო ჯამში, ამ რბოლაში, „მანჩესტერ სიტიმ“ იმარჯვა, „დორტმუნდს“ 75 მილიონი გადაუხადა და 1 ივნისს, ჰოლანდთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ხელშეკრულების მიხედვით, ნორვეგიელი კვირაში, ხელფასის სახით, 440 ათას ევროს მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წლიური ჯამაგირი 20 მილიონ ევროზე მეტი იქნება.

დაიწყო – ინსინე „ნაპოლის“ დაემშვიდობა

იტალიის ნაკრებისა და „ნაპოლის“ ფორვარდი, ლორენცო ინსინე კარიერას „ტორონტოში“ გააგრძელებს და ძალებს ამერიკის საფეხბურთო ლიგაში მოსინჯავს. ეს გადაწყვეტილება მან ერთადერთი მიზეზით მიიღო – მის ოჯახს შტატებში ცხოვრება სურს და თანაც, „ტორონტო“ იტალიელ ვარსკვლავს სოლიდურ ჯამაგირს გადაუხდის. სეზონის ბოლო შეხვედრა ინსინეს გუნდმა, „მარადონა არენაზე“, „ჯენოას“ წინააღმდეგ გამართა და 3:0 მოიგო. ერთი გოლი პენალტის ნიშნულიდან, სწორედ ლორენცომ გაიტანა, ნამატჩევს კი ღვაწლმოსილ კაპიტანს ფეხზე ათი ათასობით გულშემატკივარი წამოუდგა და ლორენცომაც ცრემლები ვერ შეიკავა.

ჩვენთვის კი ეს ამბავი საინტერესო ერთადერთი რამის გამოა – ლეგენდარული მოთამაშის შემცვლელად, „ნაპოლიმ“ ხვიჩა კვარაცხელია გადაიბირა და როცა ინსინეს აცილებდნენ, ითქვა, რომ ქართველის სახით, კლუბში მისი ღირსეული შემცვლელი მიდის. ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმის მიხედვითაა, ინსინემ გუნდი დატოვა, სეზონის დასრულების შემდეგ კი მისი ადგილი ხვიჩამ უნდა დაიკავოს – ფეხბურთელმა, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი მთავარ იმედად უყურებს.

ქვათა მატიანე

ფრესკები მოწმობენ

ქვემო რაჭა

გელა ქოჭიაშვილი

ზ. კრიხის „მთავარანგელოზი“: ჩრდ. კედელზე არსებული ოთხი ქტიტორის ფრესკის ფრაგმენტები და სრული სახე 1991 წლის მიწისძვრამდე და ...

...მიწისძვრის შემდეგ.

მკითხველი, რომელიც რაჭისა და მისი ისტორიულ-კულტუტრული ძეგლების შესახებ გამოქვეყნებული წერილებს კვალში მოჰყვება, მიმიხვდება: ეს სერია არა იმდენად ტერიტორიული თანმიმდევრობით გრძელდება, რამდენადაც ეპოქათა მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინებით. ამიტომ იყო, რომ რაჭის უკიდურესი ჩრდილოეთიდან ეგრევე მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით დავეშვით, ახლა კი აქედან ამბროლაურისკენ უნდა გავბრნდეთ და სოფელ ზემო კრიხს ვესტუმროთ.

ზემო კრიხის „მთავარანგელოზი“ რაჭის უმთავრეს რელიგიურ და ხუროთმოძღვრულ ტაძრებში უდავოდ ერ-ერთია. იგი სოფლის განაპირას დგას და მისაგნებად იოლია. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ტაძარი აიგო, იგი შვერილი აბსიდის ჩათვლით, სიგრძეში 10,5მ. ყოფილა, სიგანეში – 7,5მ. დარბაზი მაღალი (9მ.) და სწორკუთხაა (თანაც კვადრატული). იგი აღმოსავლეთით შედარებით დაბალი და ვიწრო საკურთხევლის აბსიდით გრძელდება, რომელიც გარე სივრცეში გადის. აბსიდი შიგნიდან ნახევარწრიულია, გარედან კი ხუთწახნაგა. XI საუკუნის პირველ ნახევარში ტაძრისთვის სამხრეთიდან, დარბაზის აღმოსავლეთ ნიშნულამდე, მიუდგამთ ნართექსი, რომელიც კარიბჭისა და ეკვდერისაგან შედგება. XIX საუკუნეში ტაძარი დასავლეთიდან დაუგრძელებიათ, რის გამოც დასავლეთის ძველი კედელი მოურღვევიათ. 1991 წლის მიწისძვრას ეკლესია სანახევროდ დაუნგრევია. რესტავრატორებს XIX საუკუნის დასავლეთის დანამატი აღარ აღუდგენიათ და ნაგებობა შეძლებსდაგვარად XI საუკუნის ფორმით გაუმართავთ. შეძლებისდაგვარად = მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ კედლების ერთი ნაწილისთვის (იგი თლილი შირიმის ქვისაა) დამტვრეული სამკაულიანი ქვები ვეღარ მოურგიათ და დანომრილები ფარდულში შეუნახავთ იქვე. ამიტომ, ტაძარი პეწიანად კი გამოიყურება, მაგრამ სამკაულებით ძველებურად ვეღარ ბრდღვიალებს.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს გიორგი ბოჭორიძეს, 1945 წელს ვახტანგ ცინცაძეს, ხოლო მოგვიანებით თამაზ ბერიძეს ტაძრის კედლებში და დარბაზში 8 არასრული წარწერა უნახავთ, ზოგი საბაზისო ადგილზე დარჩენილი და ზოგიც ახალ ადგილზე ჩასმული. დღეს მათგან, ტაძრის კედლებში, 4 წარწერიანი ქვაა მხოლოდ, ხოლო დანარჩენი ან 1991 წლის მიწისძვრამ გაანადგურა ან შემდგომში რესტავრატორებმა შეინახეს ფარდულში. 4 წარწერიდან ორი ახლაც თავის ადგილზე – ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ქვათა წყობის ზედა რეგისტრებშია, ხოლო მესამე და მეოთხე – ეკვდერის სამხრეთ კედელში, სარკმლის აქეთ-იქით. წარწერებში ექვსი სახელი იკითხება: **ფეთაჲ, შვილაჲ, გიორგა, გრიგოლი, თევდორე და კვიტაჲ**. წარწერების ხასიათის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ეს პიროვნებები ქტიტორები ვერ იქნებოდნენ, მაგრამ მეექვსე სახელი მაინც საინტერესოა: კვიტაჲ, შესაძლებელია, კვიტაიშვილების ან კვიტაშვილების გვარის ფუძემდებელი იყოს, მითუმეტეს, რომ კრიხის ეკლესიის შორიახლო, მდინარე ხოტეურას მარჯვენა ნაპირზე, ახლაცაა შემორჩენილი კვიტაშვილების ციხის ნაშთები.

ინფორმაციული თვალსაზრისით ეკლესია შიგნით უფრო საინტერესოა. იგი თავის დროზე, თვით 1991 წლის მიწისძვრამდეც კი, მთლიანად ყოფილა მოხატული. **საკურთხევლის აბსიდის მხატვრობა ტაძრის ძირითადი კორპუსის თანადროული უნდა ყოფილიყო, დანარჩენი ფრესკები კი ოდნავ გვიანდელი, XI საუკუნის პირველი ნახევრისაო, ამტკიცებენ ხელოვნებადმცოდნეები თინათინ ვირსალაძის გამოთქმული დასკვნის შესაბამისად. ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე სხვას ამტკიცებდა: მეორე მხატვრობა XIII საუკუნისაო.** ზუსტ თარიღს იმიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ამ მეორე ეტაპის ფრესკებზე, ჩრდილოეთ კედლის ქვედა მონაკვეთში, გამოსახული იყვნენ ამ მხატვრობის და შესაძლოა, ასევე სამხრეთ ნართექსის მშენებლობის ქტიტორები. მაღალი იერარქიის 4 საერო პირი (სავარაუდოდ საერითავო სახლის 4 წარმომადგენელი) მთელი ტანით ნახევრად შებრუნებული მავადრებელ პოზაში შეჰყურებს აღმოსავლეთით მდგარ მთავარანგელოზს.

ზ. კრიხის „მთავარანგელოზის“ სამხრეთის ფასადი და მისი კარიბჭის ფრაგმენტი

განმარტებითი წარწერა ორ მათგანს ჰქონდა შემორჩენილი: მეორე პირის თავთან არსებული წარწერა მხოლოდ გვარს გვაცნობდა: **„ვაჩიანი“**, მესამე პირის თავთან არსებული წარწერა – მხოლოდ სახელს: **„შოგაჲ“**. სამოსისა და იერის მიხედვით პირველი ფიგურა, თითქოს, უფრო ტიტულოვანიც იყო და ხნიერიც. ვარაუდი იქით იხრება, რომ ყველანი ვაჩიანები იყვნენ. ოთხივე პორტრეტი, მეტადრე კი მეორე, საეკლესიო ხატწერის კანონიკიდან ამოვარდნილი და ფრიად ცხოველმყოფელი გახლდათ. მისი ავტორი თავისუფალ, მოყვარულ მხატვარს ჰგავდა. ქტიტორთა ქვეშ შემორჩენილია წარწერა: „მოიხატა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ დეკანოზობასა გიორგი ხორცანაჲსძისა, ასისთავობასა იოანე... ძისასა. შეიწყალენ წმიდაო მთავარანგელოზნო ამისა მოხატვისა ჩუბინისძისა...“

ხელოვნებათმცდნეების დასკვნით, ეს ჩუბინიძე მხატვარ-რესტავრატორია, თუმცა სიტყვა „მოხატვისა“ ამ ამბავს სრულად ვერ ადასტურებს და მას მაინცდამაინც რესტავრატორობას ვერ მივაწერთ. თუ ჩუბინისძე მხატვარია და არა უბრალო რეტუშორი, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან გამომდინარე, იგი XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე გამოდის. ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე კი, რომელმაც ტაძარი 1929 წელს შეისწავლა, ხსენებულ ფრესკებს სწორედ ამ საუკუნისად მიიჩნევს.

1991 წლის მიწიძვრას ოთხი პორტრეტიდან, მხოლოდ ბოლო ორი გადაურჩა.

ჩვენ ორივე დათარიღება უნდა შევაფასოთ.

ვარიანტი პირველი:

ვთქვათ, ფრესკაზე გამოსახული დიდებულები XI საუკუნის პირველი ნახევრის წარმომადგენლები არიან. ასეთ შემთხვევაში რა ვუყოთ რატი ბაღვაშს და მის ძეს კახაბერს – რაჭის პირველ ორ ერისთავთ-ერისთავს, რომლებიც სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ? მართალია, მათი თავდაპირველი რეზიდენცია (მცირე ციხესიმაგრე და პატარა ონის ორი ეკლესია) ზემო კრიხიდან მოშორებით იყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენ რაჭას ვერ აკონტროლებდნენ – ნიკორწმინდას, წესს, ძველ ბარაკონსა და მინდას ციხეს თავიანთ საბატონოდ არ მიიჩნევდნენ; კრიხულას ხევი კი იქვე მდებარეობდა და არამგონია, კახაბერ რატის ძეს უშფოთველად ეყურებინა ყურისძირში მცხოვრები ვასალის ზვაობისთვის. აქ სამი ვერსია იბადება: **1) ტაძარი, შესაძლოა, იმ დროს მოიხატა მეორეულად, როცა რაჭის ბაღვაშთა, კონკრეტულად კი რატის ძალაუფლება მყარი არ იყო, ხოლო ვაჩიანები, როგორც ჩხუმის (იგივე სკვიმნიის) ერთ-ერთი ერისთავები, ბაღვაშთა აქ გამოჩენამდე ფლობდნენ კრიხის ხეობას.** მაგრამ ამ ვერსიასთან წინააღმდეგობაში მოდის ფრესკის წარწერის მონასმი: **„ესე არს ვაჩიანი“** ლიგატურითაა შესრულებული, ასეთი ფორმის ლაპიდარული წარწერები კი XI ს-ის შუახანებამდე არ შეინიშნება ჩვენში დაისიც იშვიათად. 2) XI საუკუნის დასაწყისიდან რაჭის საერისთავო თანდათან ივსებოდა ახალი ტერიტორიებით. ჭანჭახის ხეობა (გლოლას თემი) შესაძლოა ოდნავ მოგვიანებით გადავიდა სვანეთის ერისთავის ხელიდან რაჭის ერისთავის ხელში. ასეთ შემთხვევაში გასაკვირი არ იქნება, თუ გლოლას თემის ხევისთავს საკომპენსაციოდ ქვემო რაჭაში გადასცემდნენ კრიხისხევის ტერიტორიას; 3) ხომ არ ვივარაუდოთ, რომ ფრესკაზე გამოსახული ოთხი პიროვნება სხვა-

დასხვა დიდი გვარის წარმომადგენელია და თავში მდგარი, შედარებით განსხვავებული, მდიდრული კაბის მქონე კაცი, რომელსაც განმარტებითი წარწერა არ შემორჩა, სწორედ რატი ან კახაბერ რატის ძე ბაღვაშია? 4)ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომ „მთავარანგელოზი“ მეორედ მაშინ მოიხატა, როცა ერისთავი კახაბერ რატის ძე კირილეს სახელით, ბერად იყო აღკვეცილი. იქნებ ამ პერიოდში ვაჩიანებს დამოუკიდებლობის და თავის გამოჩენის დრო დაუდგათ, ამით ისარგებლეს, მაგრამ მალევე ჩაქრნენ და აქედან წავიდნენ კიდეც ? ისინი რაჭის ისტორიაში ამის მერე არსად არ იხსენიებიან..!

ზ. კრიხის „მთავარანგელოზი“: ყველაზე ძველი ფრესკები საკურთხევლის აბსიდში

ვარიანტი მეორე:

ბაღვაშ-კახაბერისძენი თითქმის 250 წელი მართავდნენ რაჭას, მაგრამ დავით ნარინის დროს უბედურება დაატყდათ თავს. მონღოლთა სასარგებლოდ ორგზის ღალატისათვის მეფემ კახაბერ კახაბერისძე გაუგონარი სისასტიკით დასაჯა და თამარის გვირგვინით შემამკობელი დიდი კახაბერის შთამომავლები ქვეყნიდან გააძევა. რაჭის საერისთავო დროებით გაუქმდა. იოლი შესაძლებელია, რომ კახაბერისძეებთან ბრძოლაში დავით ნარინმა სვანი დიდებულები და მათ შორის ვაჩიანები დაიყენა გვერდში. ასეთ შემთხვევაში მეფე მათ გარჯას დაუფასებდა. აი, ასე დაუფლებოდნენ ისინი რაჭის ერთ ნაწილს და, ბუნებრივია, თავიანთ წვლილს შეიტანდნენ „მთავარანგელოზის“ შემკობაში. მაგრამ, ამბობენ, დრონი მეფობენო. ჩანს, მალე ვაჩიანების ვარსკვლავიც ჩაესვენა და ასპარეზზე ჭარელიძეები გამოვიდნენ, რომელთაც ექსორიაქმნილი და რაჭაში შემოპარული ერთ-ერთი კახაბერისძე შეიპყრეს ნიკორწმინდაში. ამაგი მათაც დაუფასდათ და ფაქტიურად რაჭის ერისთავის სახელი მოიპოვეს.

ჩნდება მოსაზრება, რომ ვაჩიანები ამის შემდეგ სვანეთს, ამჯერად კი ცხენისწყლის ხეობის ლეუშერის თემს დაუბრუნდნენ ოდნავ სახეშეცვლილი გვარით – ავაჩიანით. სწორედ ასეთი წარწერა („ესე არს ავაჩაინი“) აქვს ტვიბის „მთავარანგელოზის“ ეკლესიის XIV საუკუნის მხატვრობის ერთ-ერთი ქტიტორის ფრესკას.

ზევით ჩამოთვლილი ვერსიებიდან რომელია მართალი ვერ დავადგენთ, მაგრამ ეს რომ ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების დისკუსიის თემაა, ვერ უარყოფთ.

ზემო კრიხის „მთავარანგელოზი“ სერიოზული სამონასტრო კომპლექსის ნაწილი იქნებოდა, მაგრამ, თავისი მხატვრული ფასეულობის მიუხედავად, იგი იოლად ვერ დაიჩემებდა პირველობას. მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფელში, რომელსაც „კვირიკეწმინდა“ ჰქვია, ამავე წმინდანის სახელობის IX-X ს-ის სამნავიანი ეკლესია დგას. იგი დაკეტილია და შიგნით ვერ შევედით, მაგრამ ახალაღდგენილი ტაძრის გარედან დათვალიერებაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძარი სიგრძეში (შვერილი აბსიდის ჩათვლით) 11 მეტრია, სიგანეში – 8,3 მ. როგორც ჩანს, თავიდან უმეტესად შირიმის კვადრებით იყო ნაგები, მაგრამ რესტავრატორებს ასეთი ქვა ძალიან ცოტა დახვდრიათ, ისინი მხოლოდ აქა-იქ გამოუყენებიათ, უმთავრესად კი კედლები ქვიშაქვის მოვარდისფრო, სუფთად დამუშავებული ქვებით აუყვანიათ. დასავლეთის ფასადზე თავს იწონებს რელიეფური კრონშტეინი. ეზოში XIX საუკუნის საფლავის სტელებია. „წმინდა კვირიკე“ სოფლის ზედა უბანში, პატარა კლდის კორტოხზე, დიდი ხეებით გარშემორტყმულ ადგილზეა აღმართული. აღმოსავლეთიდან მას ღრმა ხევი აკრავს, რომელიც ნაწილობრივ სამხრეთითაც გრძელდება. სწორედ აქ არის აღმართული ძველი, 8-10 მეტრის სიმაღლის დონეზე შემორჩენილი ციხე-კოშკის კედლები. შესაძლოა, ეს ციხე-კოშკი მონასტრის ეზოს გალავანში იყო ჩადგმული ანდა გაცილებით დიდი ტერიტორიისა და ციტადელის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ვეჭვობ, რომ ეს აზნაურ კვიტაშვილების ციხის ნაშთია, იმ კვიტაშვილებისა, რომელთა გვარის ეპონიმი – კვიტაი ზემო კრიხის უკვე მიმოხილული ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ვნახეთ. ამ კვიტას შთამომავლები, იაშვილების მხარდამხარ, ბეთლევის აწდანგრეული საყდრის კედლებზე ყოფილან დახატული. დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ გიორგი ბოჭორიძეს ბეთლევის შესაბამისი განმარტებითი წარწერა ასე წაუკითხავს: „ქართლისა მთავარეპისკოპოზი და ია (ე.ი. 11) წელიწადს იერუსალიმის ჯვარის მამა კვიტასშვილი იოანე“, „ძმისწული მათი ზაქარია“, „თაყა კვიტასშვილი და უთრუთ, შვილნი მისნი შეინყალნენ ქრისტემან ღმერთმან. ამინ !“ იოანე და თაყა კვიტაშვილები გიორგი VIII-ის 1463 წლის სიგელშიც არიან ნახსენები.

იქმნება ასეთი სურათი: გვიან შუასაუკუნეებში კრიხის ხევს იაშვილები დაეუფლნენ, კვირიკეწმინდას – კვიტაშვილები, ხოლო ორთავე გვარს 1493 წელს (წარწერაშიაღნიშნულია „რჰა“) ერთობლივად აღუშენებიათ და მოუხატავთ მეზობლად მდებარე ბეთლევის საყდარი.

კვირიკეწმინდის ციხე-კოშკის კედელი და ტაძრის ფასადი სამხრეთიდან



უორჰოლის „მერლინი“ აუქციონზე გაყიდეს

ცნობილი მხატვრის, ენდი უორჰოლის მიერ შესრულებული მერლინ მონროს პორტრეტი Christie's აუქციონზე რეკორდულ ფასად – 195 მილიონ დოლარად გაიყიდა. როგორც მედიაში წერენ, ეს მე-20 საუკუნეში შექმნილი და აქუციონზე გაყიდული ნამუშევრისთვის მართლაც წარმოუდგენელი ფასია. ცნობილია, რომ უორჰოლმა ლეგენდარული მსახიობის პორტრეტი გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნა და მას „ცისფერი მერლინი“ უწოდა. აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ წარმოდგენილი ლოტი, დაახლოებით, 200 მილიონ დოლარად გაიყიდებოდა. როგორც ჩანს, მათი ვარაუდები გამართლდა.

საწოლი ხვრინვის წინააღმდეგ

კომპანია Xiaomi-მ „ჭკვიანი“ საწოლი წარადგინა, რომელიც მომხმარებელს ხვრინვის დისკომფორტს მოუხსნის. საწოლი, რომელსაც 8H Feel Leather Smart Electric Bed X Pro ჰქვია, მართვის ინტელექტუალური სისტემითა და ელექტროსადენითაა აღჭურვილი. მისი ავტორების თქმით, ძილის დროს გარეშე ხმების აღმოჩენისთანავე, საწოლის ზურგი 15 გრადუსით იწევა, რათა ადამიანს ჟანგბადის მისაწოდებლად სასუნთქი გზები გაეხსნას. მას შემდეგ, რაც ხვრინვა შეწყდება, საწოლი ავტომატურად, ისე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება, რათა მასზე მწოლიარეს არ გაეღვიძოს. გარდა ამისა, „ჭკვიანი“ საწოლი ინფორმაციას აგროვებს გულისცემისა და სუნთქვის სიხშირის შესახებ. ამ ეტაპზე, საწოლი 968 დოლარი ღირს, თუმცა როდესაც მასობრივ გაყიდვაში ჩაეშვება, მისი ფასი 1119 დოლარი იქნება.

საკუთარ კატაზე იქორწინა

ბრიტანული გამოცემა „მეტროს“ ინფორმაციით, ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, ქალი საკუთარ კატაზე დაქორწინდა. ცნობილია, რომ 49 წლის დებორა ჰოჯი და მისი საყვარელი შინაური ცხოველი ინდია ქალის მეგობარმა „შეაუღლა“. დებორა ამბობს, რომ მის უჩვეულო საქციელს ლოგიკური ახსნა აქვს – წლების განმავლობაში, ის სხვადასხვა ბინაში ცხოვრობდა, რომელთა მფლობელებიც სახლში შინაური ცხოველების შეშვების წინააღმდეგნი იყვნენ. ამის გამო, მას ორი ძაღლისა და ერთი კატის გაჩუქება მოუწია. ქალბატონი ჰოჯი მიიჩნევს, რომ ინდიასთან „ქორწინება“ მის მომავალ ბინათმფლობელებს დაარწმუნებს იმაში, რომ ქალსა და კატას შორის ძლიერი კავშირია და მათი დაშორება არ შეიძლება.

ფლირტის საუკეთესო ტექნიკა გამოავლინეს

ამერიკელმა და ნორვეგიელმა სპეციალისტებმა ყველაზე ეფექტიანი ფლირტის სხვადასხვა ტექნიკა გამოავლინეს. საამისოდ, ფსიქოლოგებმა აშშ-სა და ნორვეგიაში მცხოვრები ჰეტეროსექსუალი სტუდენტები შეისწავლეს. მათ შეავსეს კითხვარი იმის შესაფასებლად, 40 ტექნიკიდან, რომელია ყველაზე ეფექტური, როგორც ხანგრძლივი, ასევე, ხანმოკლე ურთიერთობების წამოსაწყებად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქალებისთვის, რომელთაც ხანმოკლე ურთიერთობა სურთ, ყველაზე „მომგებიანი“ სექსუალური იმპულსების გამოყენებაა. რაც შეეხება კაცებს, მათ ფიზიკურ კონტაქტთან ერთად, ღიმილი, საუბრისას – ინტერესის გამოჩენა, კომპლიმენტების თქმა და პოტენციური პარტნიორის გაცინება ყველაზე მეტად ამართლებს. ხანგრძლივ პერსპექტივაში – კეთილშობილებისა და ურთიერთობებისთვის მზაობის გამოვლენაა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ტექნიკა, რომელიც, გარკვეულწილად, უნივერსალურია და ეს იუმორია. აღმოჩნდა, რომ კარგი იუმორი ორივე სქესისთვის მიზნის მიღწევისა და ინტერესის აღძვრის საუკეთესო საშუალებაა.

50 წელს გადაცილებული ყველაზე სექსუალურები

ასეთი ვარსკვლავების გამოსავლენად, გამოკითხვა დიდ ბრიტანეთში ჩატარდა. რესპონდენტთა უმრავლესობამ ყველაზე სექსუალურად 53 წლის ავსტრალიელი მომღერალი, კაილი მინოუგი დაასახელა. მან აჯობა ისეთ მსახიობებს, როგორებიც არიან ლიზ ჰარლი და ჯენიფერ ენისტონი. სააგენტო Ourtime-ის კვლევაში ჩართული ბრიტანელები თავადაც ნახევარ საუკუნეს გადაცილებულები იყვნენ. გამოკითხვა შეეხებოდა ისეთ ცნობილ სახეებს, რომელთაც მიმზიდველობა შუახნის ასაკშიც შენარჩუნებული აქვთ. ამ რეიტინგის ტოპათეულში მოხვდნენ 60 წლის ჯორჯ კლუნი და 58 წლის ბრედ პიტი. გამოიკითხულთა ნახევარი მიიჩნევს, რომ მათი საყვარელი ვარსკვლავები ამ ასაკში ბევრად უფრო მიმზიდვლები არიან, ვიდრე ახალგაზრდობაში. იმ ცნობილების ტოპათეულში კი, რომლებთან ერთადაც პაემანზე წავიდოდნენ, 53 წლის ჰიუ ჯეკმანი, 76 წლისHელენ მირენი და 51 წლის ჯენიფერ ლოპესი მოხვდნენ.

ბავშვი კონცერტზე გააჩინა



პოპულარული ამერიკული ჯგუფის Metallica-ს კონცერტები ყოველთვის დაუვიწყარია, თუმცა ცოტა ხნის წინ გამართულ კონცერტზე მომხდარმა ფაქტმა ყველა გააოცა. ბრაზილიელი ჯოის ფიგეირო ჯგუფის ერთგული თაყვანისმცემელია და ხშირად ესწრება Metallica-ს კონცერტებს. მიუხედავად იმის, რომ ის ორსულად იყო, მაინც გადაწყვიტა, არ გაეშვა საყვარელი მუსიკოსების მოსმენის კიდევ ერთი შანსი. ქალაქ კურიტიბაში, კონცერტზე, ფიგეირო 39 კვირის ორსული მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმების მტკიცებით, ბავშვის გაჩენა ჯერ კიდევ ადრე იყო, მოსახდენი მაინც მოხდა – ჯოისის ვაჟი საყვარელი სიმღერების ფონზე დაიბადა.

„ყოველ ჯერზე, როცა Metallica-ს კონცერტზე მივდივარ, რაღაც ხდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად, მგონი, საკუთარ თავსაც ვაჯობე“, – აცხადებს ბედნიერი დედა.

მაღალი ქუსლებისთვის ბოტოქსი გაიკეთა

სტილისტმა ები მაკჰეილმა ტერფებში ბოტოქსის ინექცია მხოლოდ იმის გამო გაიკეთა, რომ მთელი ღამე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უმტკივნეულოდ ატაროს. ქალის თქმით, ახალგაზრდობაში ხშირად დადიოდა 15-სანტიმეტრიან „შპილკებზე“, თუმცა ახლა მას დიდი ხნით ვეღარ იცვამს. მიუხედავად მტკივნეული შეგრძნებებისა, მაკჰეილს მაინც უყვარს მაღალ ქუსლებზე სიარული, რის გამოც გადაწყვიტა, ფეხებზე ბოტოქსის ინექცია გაეკეთებინა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა, რომელიც ფეხებზე მგრძნობელობის შესამცირებლად კეთდება, ების 350 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

კაფედან არ უშვებენ?

ამომავალი მზის ქვეყანაში, ახალი კაფე Manuscript Writing Cafe გაიხსნა, რომლის თანამშრომლებსაც ფულს უხდიან, რათა სამუშაოს დასარულებლად, მათზე მაქსიმალური ზეწოლა მოახდინონ. დაწესებულება ტოკიოში მდებარეობს და მას ყოველდღიურად სტუმრობენ მხატვრები, მწერლები, რედაქტორები და სხვა ადამიანები, რომელთაც დაწყებული სამუშაოს დასრულება სურთ. კაფეს თანამშრომლები სტუმრებს ყავითა და ჩაით ამარაგებენ და თან აკონტროლებენ, რომ დავალების დაუსრულებლად, იქაურობა არავინ დატოვოს. დაწესებულების სტუმრები, ყოველი მისვლისას, ვალდებულები არიან, დღის გეგმა და მთავარი მიზანი დასახონ. ამ ყველაფერს კაფეს თანამშრომლები ინიშნავენ და რეგულარულად აკონტროლებენ.

სტუმარმა თავად უნდა შეარჩიოს, როგორი კონტროლი სურს – რბილი, საშუალო თუ მკაცრი. პირველის დროს, სტუმარს დღის ბოლოს ეკითხებიან, შეასრულა თუ არა სამუშაო. საშუალო კონტროლისას – ყოველ საათში ერთხელ ამოწმებენ, მკაცრი კონტროლის არჩევისას კი, კლიენტს თანამშრომლები მთელი დღის განმავლობაში დაადგებიან თავზე და მუშაობას მუდმივად გაუკონტროლებენ. მთავარი წესის მიხედვით, დავალების დასრულებამდე, კაფე არავინ უნდა დატოვოს. წესის დამრღვევის სახელი დაფაზე იწერება და მას ყველა ნახავს. კაფეში ნახევარი საათით გაჩერება 1 დოლარი ღირს, ყოველი დამატებითი საათი – 2.34 დოლარი ჯდება. ეს კიდევ ერთი დამატებითი მოტივაციაა, რათა ადამიანმა დასახული საქმე მალე დაასრულოს.

მარკეტში ნაყიდი ბიუსტი ანტიკვარი აღმოჩნდა

აშშ-ში, ქალაქ ოსტინის „გუდვილში“, ლორა იანგმა 35 დოლარად ბიუსტი შეიძინა, რომელიც ხელოვნების ნიმუში აღმოჩნდა. ქალის თქმით, დათვალიერებისას, ბიუსტი საინტერესოდ მოეჩვენა და ყიდვა გადაწყვიტა. თანაც, დიდი ხანია, ლორა ანტიკვარულ ნივთებს აგროვებს, ამიტომ შენაძენის შემოწმება გადაწყვიტა. ის ექსპერტებს დაუკავშირდა, რომლებმაც დაადგინეს, რომ „გუდვილში“ ნაყიდი ბიუსტი ძველ რომში იყო დამზადებული, რომლის ასაკი, დაახლოებით, 2000 წელი გახლდათ. ექსპერტების თქმით, ის რომაელი სარდლის, სექსტუს პომპეუსის გამოსახულებაა. მეორე მსოფლიო ომამდე, ეს ბიუსტი ბავარიის მეფის, ლუდვიგ პირველის დაკვეთით შექმნილი პომპეუსების სახლის ასლში ინახებოდა. ომის დროს, საცავში გადაიტანეს, მაგრამ იქიდან მოიპარეს. ამჟამად, ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე, ლორას ბიუსტი სან-ანტონიოს ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი.

Nespresso-ს ქარხნიდან კოკაინი ამოიღეს

შვეიცარიაში, Nespresso-ს ქარხანამ ყავის მარცვლების უცნაური ტომრები მიიღო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ყავის ნაცვლად, ეს ტორმები კოკაინით იყო სავსე. როცა თანამშრომლებმა თეთრი ფხვნილი აღმოჩინეს, სამართალდამცავებს შეატყობინეს. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყავის ტომრებში სუფთა სახის ნარკოტიკი იყო, მისი როდენობა კი 500 კილოგრამზე მეტი აღმოჩნდა. პოლიციის განცხადებით, კოკაინი დროულად ამოიღეს, შესაბამისად, ქარხანაში წარმოებულ პროდუქციასთან ნარკოტიკი არ შერეულა. როგორც ჩანს, დიდი ოდენობით კოკაინი ევროპის ბაზრისთვის იყო განკუთვნილი და სავარაუდოდ, ბრაზილიიდან ჩაიტანეს. ამოღებული კოკაინი საკმაოდ მაღალი ხარისხის იყო, რომლის ფასი, დაახლოებით, 53 მილიონ დოლარია. მომხდარ ფაქტზე გამოძიება გრძელდება.

ბაზარზე წითელი ისპანახი გამოჩნდება

შეერთებულ შტატებში, ისპანახის მოხმარება 2006 წლიდან საგრძნობლად შემცირდა, რაც იმ პერიოდში, ნაწლავური ინფექციის ეპიდემიას უკავშირდება. დღემდე ეს დონე არ შეცვლილა და სოფლის მეურნეობის სამინისტრი იმედოვნებს, რომ შექმნილ სიტუაციას ისპანახის ფერის შეცვლა გააუმჯობესებს. ამერიკელმა სპეციალისტებმა მსოფლიოში პირველი, ისპანახის წითელი ჯიში გამოიყვანეს, რომელმაც ადამიანებს უნდა მოანდომოს, ეს ბოსტნეული უდრო დიდი რაონობით მიირთვან. მიიჩნევენ, რომ წითელი ფერი კალორიულ საკვებს უკავშირდება, მწვანე ფერის პროდუქტები კი ნაკლებად ანაყრებს ადამიანს. ტრადიციული სელექციით, ისპანახის ახალი ჯიში წითელი პიგმენტის დამატებით მიიღეს.

ყალბი მეგობრები სელფისთვის

იაპონურმა კომპანიამ Family Romance, ინტერნეტ-მომხმარებლებს მსახიობების მომსახურება შესთავაზა, რომლებიც შემკვეთთან მივლენ და ერთობლივ სელფის გადაიღებენ სოციალურ ქსელებში პუბლიკაციისთვის. ორსაათიანი ფოტოსესია მსურვლს 8 ათასი იენი (დაახლოებით, 73 დოლარი) დაუჯდება. კომპანია მსურველს ყალბი თაყვანისმცემლების კატალოგს აცნობს, საიდანაც მოწონებული მსახიობების ამორჩევა შეუძლია. რაოდენობა მხოლოდ კლიენტის ფინანსური შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ მოთხოვნა სკმაოდ დიდი იქნება, რადგან ბევრ იაპონელს ცოტა მეგობარი ჰყავს, ან არიან ადამიანები, რომლებსაც ყოფილი პარტნიორებისთვის სამაგიეროს გადახდა სურთ.

რატომ გვცვივა თმა?

იაპონელი მეცნიერების მტკიცებით, აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს, ასაკის მატებასთან ერთად, თავზე თმის რაოდენობა უმცირდებათ. კოსმეტიკური კომპანია „კაო კორპორეიშენის“ სპეციალისტებმა თმის დაბერების გენი გამოყვეს. მისი აქტიურობის ხარისხი უკუდამოკიდებულია განვლილ წლებზე. იაპონელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს, ეფექტურად შეებრძოლონ თმის ცვენის პრობლემას, შედეგად, ადამიანი მოხუცებულობამდე ხშირ და ხარისხიან თმას შეინარჩუნებს. ცნობილია, რომ ეს გენი სისხლძარღვების წარმოქმნის მექანიზმში მონაწილეობს, რის გამოც „კაოს“ სპეციალისტები ასკვნიან, რომ სისხლის ცირკულირების სტიმულირებისას, გენი თმის ძირებს ეხმარება იმ ნივთიერებების მიღბაში, რაც აუცილებელია მათი ზრდისა და სიმაგრისთვის.

ეგზოტიკურმა კერძმა შეიწირა

აშშ-ში, ქალაქ როჩესტერის მცხოვრები, 61 წლის მამაკაცი იშვიათი დაავადების გამო გარდაიცვალა, რომელიც ციყვის ტვინისგან მომზადებული საკვებიდან შეეყარა. მამაკაცი ჰოსპიტალში მას შემდეგ მიიყვანეს, რაც გონება დაებინდა. მან ლაპარაკის უნარი დაკარგა, შემდეგ კი ვეღარც მოძრაობდა, ხოლო კლინიკაში მიყვანიდან რამდენიმე დღეში, გარდაიცვალა. გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პაციენტს კრეიტცფელდტ-იაკობის დაავადების სიმპტომები ჰქონდა – ტვინის დაშლა, რომელსაც ცილა-პრიონების მუშაობის დარღვევა იწვევს. მსოფლიოში ამ დაავადების რამდენიმე ასეული შემთხვევაა ცნობილი, რომელიც 80-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში, დაბინძურებული ძროხის ხორცის მოხმარებამ გამოიწვია, თუმცა როჩესტერის მცხოვრების დაინფიცირების მიზეზი გაცილებით ორიგინალური აღმოჩნდა. ახლობლების თქმით, მას ნადირობა უყვარდა და ბოლოს ციყვის ტვინისგან მომზადებული კერძი მიირთვა.

ლაყე კვერცხი წამალია?

სწავლულებმა ექსეტერის უნივერსიტეტიდან, გაარკვიეს, რომ წყალბადის სულფიდი (ლაყე კვერცხს არასასიამოვნო სუნს აძლევს) შესაძლოა, გულის, თირკმელების, თვალისა და დიაბეტის სამკურნალოდ გამოიყენონ. მკვლევარებმა შესაბამისი ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და შედეგები მეტად დამაიმედებლი აღმოჩნდა. მათ ცხოველთა უჯრედებში წყალბადის სულფიდის ძალიან მცირე დოზები შეჰყავდათ. სპეციალისტები აპირებენ, ახლა კლინიკური ცდები ჩაატარონ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შერჩევითი ზემოქმედებისას, საკმარისია პრეპარატის მინიმალური თერაპევტული დოზები. წყალბადის ზეჟანგს მიტოქონდრიები „საწვავად“ იყენებენ, რაც მეტაბოლიზმის შენარჩუნების საშუალებას აძლევთ. როცა ეს „საწვავი“ არ არის, უჯრედი, სისხლძარღვები და ქსოვილები ზიანდება. სწავლულები აპირებენ, კვლევების შედეგების მიხედვით, შესაბამისი პრეპარატები შექმნან.

მრევლს ლუდით იზიდავენ

სლოვაკეთის პატარა სოფელ სკლენე-ტეპლიცაში მდებარე წმინდა ლუკას სახელობის ეკლესიაში, საკუთარი ლუდის ჩამოსასხმელი ონკანი გაჩნდა, რომელიც მსურველებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება. ასეთი უჩვეულო იდეის ავტორი ადგილობრივი მღვდელია, რომელმაც გადაწყვიტა, ამ გზით მოიზიდოს ეკლესიაში მრევლი, ხელი შეუწყოს მათ ერთიანობას და წირვის შემდეგ, მრევლს მაშინვე სახლებში წასვლის სურვილი არ გაუჩნდეს. ლუდის ონკანიდან ჩამოსხმა მსურველს თავადვე შეუძლია. ნახევარი ლიტრი ქაფიანი სასმელის ღირებულება 22 ცენტია. იდეა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს ადგილობრივებმა და ტურისტებმაც, თავად მღვდელი კი აცხადებს, რომ ამაში არანაირი ცოდვა არ არის და მოციქულ პავლეს სიტყვები მოჰყავს: „ჭამთ თუ სვამთ, თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი ღვთის სადიდებლად აკეთეთ“.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.